დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ:

თავმჯდომარე: ლია ჯალაღონია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თამთა კვარაცხელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ჩალახეშაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარი დეკანოსიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლია იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218047227

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორი
იურიდიული მისამართი	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზერტი,სოფელი კვარხეთი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზერტი, სოფელი კვარხეთი
საფოსტო ინდექსი	1411
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zerti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0(370)225610; 790259065;577922510

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 5 ივნისის ბრძანება N MES 5 23 0000821932
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 20 , 21 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის, სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი, სოფელი კვარხეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 20 და 21 ივლისს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ლია ჯალაღონია - თავმჯდომარე, თამთა კვარაცხელია, ეკატერინე გურგენაშვილი, ვერა გუდაძე, ედუარდ ნაკაიძე, თამარ ჩალახეშაშვილი, თამარ დეკანოსიძე, ირმა შველიძე, ლელა მანგოშვილი, ილონა აკობია. შეხვედრებს ესწრებოდა ქ. გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი ნანა ტერმაკოზაშვილი.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა საქმიან და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა სსიპ ბორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო სრულ შესაბამისობით შეაფასა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*

სტანდარტიN2	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი ...		.....
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *1. ზერტისა და კვარხეთის სასწავლო კორპუსების მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2023 წლის 7 სექტემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით* *2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2023 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით*
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვ შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება მოსწავლეებისთვის ძირითად კორპუსში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების(ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ექიმის მომსახურება) გამოყენებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - *2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.*
ინდიკატორი N3.5.1.2.	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით -* ***2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.***
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით სოფელ კვარხეთში განთავსებულ კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემოს. უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით* ***2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.***
ინდიკატორი N 3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით სოციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით*

		2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსებ	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის .უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით - 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას (კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზეშესაბამი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით - 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდ რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით -2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე

ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებებ სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებ ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაც (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებ მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებ ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული დ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქ ინფორმაცია.*	*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებით - 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა ხედვა არის ძალი ზოგადი, დასახვეწია, უფრო კონკრეტული სახით არის წარმოსადგენი; არ არის გაზომვადი (ბუნდოვანია, როგორ ხედავს სკოლა მისიის მისაღწევ გზებს, გარდა ამისა, მოცემულია ღირებულებებ რომლებიც საკმაოდ ვრცელია, ზოგიერთი ღირებულება ფარავს ერთმანეთს,*
ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*სკოლის მისიაში არის ასახული, რომ სკოლა ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების დანერგვას. ეს მიმართულება სკოლის სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული; მისიის რევიზიასთან ერთად უნდა მოხდეს სტრატეგიული გეგმის რევიზიაც. სკოლის დირექციამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მომქმედი მისიისა და ხედვის რევიზია/კორექტირება, რომლის დროსაც ვურჩევთ მაქსიმალურად ასახონ სამოქმედო გეგმაში სკოლის მისიით მოცემული მიმართულებები.*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ზოგადად არის მითითებული შესაბამისი რესურსები და არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები; ვფიქრობთ, სამოქმედო გეგმაში ზუსტად უნდა მიეთითოს აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები და აღიწეროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;*	*წარმოდგenილ დოკუმენტში „სკოლის სტრუქტურა“ შესატანია კორექტივი(მაგ. აკლია ხარისხ განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი, მნე , ასევე გასასწორებელ სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართება).*
ინდიკატორი N3.2.1.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის*	*ცვლილება უნდა იქნას შეტანილი დოკუმენტში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მუხლი17, პუნქტ (პირად საქმეში შესანახი დოკუმენტების ჩამონათვალს უნდა დაემატოს ცნობა „უფლების ჩამორთმევ*

	შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	შესახებ“ - "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლ მიხედვით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, პირს ჩამოერთმევა პედაგოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*რადგან სკოლა განთავსებულია კონფლიქტის ზონასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გეგმაში რისკებ შეფასების ნაწილში სკოლის ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობით გამოწვეულ საფრთხეების გათვალისწინება*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმ დამტკიცების შესახებ" N508 დადგენილების შესაბამისად, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ (სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლ დირექტორის 2023 წლის 13 თებერვლის N1/კ-01 ბრძანება). უნდა აღინიშნოს რომ გეგმაში შეტანილ უნდა იყოს სოფელ კვარხეთში განთავსებული კორპუსის მონაცემები*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად:

1. N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის“ შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2023** წლის **16** ნოემბრის ჩათვლით.

2. N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა იღებს ვალდებულებას შესაბამისობის გეგმის თანახმად ზერტის და კვარხეთის სკოლის შენობების მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს **2023** წლის **7** სექტემბრიდან **2023** წლის **31** დეკემბრის ჩათვლით.

3. N3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ სკოლა იღებს ვალდებულებას ძირითად კორპუსში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების(ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ექიმის მომსახურება) სოფელ კვარხითში არსებული სკოლის მოსწავლეების მიერ გამოყენებასთან დაკაშირებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში უზრუნველყოს **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2024** წლის **15** სექტემბრამდე.

4. N3.5.1.2. ინდიკატორის - „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის“ - მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთნ დაკაშირებით მათი ტრანსპორტირების საკითხები სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში მოაგვაროს **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2024** წლის **15** სექტემბრამდე.

5. N3.5.1.3. **“**ინდიკატორის -სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით სოფელ კვარხეთში განთავსებულ კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში მოაგვაროს **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2024** წლის **15** სექტემბრამდე.

6. N3.5.1.4. „ინდიკატორის-სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვისა და შეთანხმების გზით სოციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში მოაგვაროს **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2024** წლის **15** სექტემბრამდე.

7. N3.5.1.5. „ინდიკატორის - სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობისათვის მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში მოაგვაროს - **2023** წლის **16** ოქტომბრიდან **2024** წლის **15** სექტემბრამდე.

8. N3.6.3.1 ინდიკატორის - „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ - მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები ჩაატაროს (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) - **2023** წლის **15** სექტემბრიდან **2023** წლის **31** ნოემბრამდე

9. N3.6.3.4 ინდიკატორის - „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები ჩაატაროს(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) -**2023** წლის **15** სექტემბრიდან **2023** წლის **31** ნოემბრამდე

10. N3.6.3.5 ინდიკატორის - „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - **2023** წლის **15** სექტემბრიდან **2023** წლის **31** ნოემბრამდე

აღნიშნული საკითხები განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. ინდიკატორი **N3.4.1.1.** შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი **3.4** შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ინდიკატორები **N3.5.1.1 N3.5.1.2. N3.5.1.3. N3.5.1.4. N3.5.1.5.** შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი **3.5** შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორები **N3.6.3.1, N3.6.3.4 N3.6.3.5** შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი **3.6.** შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.
გამომდინარე აქედან მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომლის ნაწილიც არის სკოლის მისია, შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ითვალისწინებს, აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ - ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე; უზრუნველყოს ზოგადი განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა;

ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების დანერგვას;მუდმივად გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი და იზრუნოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. უნდა აღინიშნოს,რომ სკოლის მიერ გამოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, რომელიც დამუშავების პროცესშია, აგრეთვე, სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში, მოცემულია ხედვა, თუმცა ის ზოგადია, აკლია დაკონკრეტება, არ არის გაზომვადი და ბუნდოვანია, როგორ ხედავს სკოლა მისიის მისაღწევ გზებს, გარდა ამისა, მოცემულია ღირებულებები, რომლებიც საკმაოდ ვრცელია, ზოგიერთი ღირებულება ფარავს ერთმანეთს._სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს მისიის გადახედვა/ რევიზიას, რადგან სკოლის თვითშეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ STEM საგნების გაძლიერებულად სწავლებისთვის აქვს სკოლას კარგი პოტენციალი, ეს მიმართულებაც უნდა აისახოს მისიასა და ხედვაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა თავისი მისიით,ხედვითა და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო- კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმით, აგრეთვე, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომლის შესავალ ნაწილში მითითებულია, თუ როგორ გარემოში,როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს სკოლა მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას. აგრეთვე, დასტურდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშიც, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი როგორ ქმნის სკოლა მართვისა და სხვა პროცესებში სასკოლო თემის ჩართულობით უსაფრთხო და სოციო-კულტურულ სივრცეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესავალი ნაწილი იწყება მეთოდოლოგიით,რომლის ერთ-ერთი ქვეთავი განსაზღვრავს ამ პროცესს,თუ ვისი ჩართულობით და როგორ ხდება ამ დოკუმენტის მიღება. კერძოდ, სკოლის დირექციამ შეიმუშავა განვითარების სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია, რომლის ნაწილიც არის სკოლის მისია და ხედვა, ამ

დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის თემის წევრებმა:მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა; სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სამუშაო ვერსია, მიღებული უკუკავშირის, წინადადებების განხილვისა და გაზიარების შედეგად დაიხვეწა სტრატეგიული განვითარების მიზნები, შეიქმნა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (რომლის ნაწილიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები), დაზუსტებული ვერსია განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე, რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 25 იანვრის ოქმი №2-ში.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის განვითარების შვიდწლიან გეგმაში აღწერილია, როგორ მუშავდება სკოლის მისია და ხედვა, როგორ ზიარდება იგი, როგორ ხდება სკოლის SWOT ანალიზი, როგორ განიხილება სამეურვეო საბჭოზე სხვადასხვა სტრუქტურული რგოლისგან მიღებული უკუკავშირის შემდეგ და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, როგორც სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის ნაწილი;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, როგორც ცალკე დოკუმენტი, ასევე-გამოკრულია სასკოლო სასწავლო გეგმაც და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაც, რომელთა ნაწილებიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.(დანართი N2, N16)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მისი სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448-ე ბრძანებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 1.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები : N1 დანართი- სტრატეგ.გეგმა, N2 დანართი -გამოქვეყნებული სტრ. განვითარების გეგმა, N4 დანართი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია N5 დანართი განცხადებების დაფა, N15 დანართი ერთწლიანი გეგმა(გამოქვეყნებული), N16 დანართი

სკოლის მისია, N56 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ, N17 დანართი სკოლის ხედვა, N18 დანართი ღირებულებები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:1. ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; 2. მისიის, ხედვისა

და ღირებულებების გადახედვა/დახვეწა, 3. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება; 4. სამოქმედო გეგმის შემუშავება;

5. შესრულების მონიტორინგი; დაწვრილებით არის აღწერილი და დახასიათებული ყოველი ეტაპი; სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოზე დოკუმენტის განხილვის ორგანიზებასა და უკუკავშირის გათვალისწინებას, რის შემდეგაც ხდება სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის დამტკიცება.

სამოქმედო გეგმის დაგეგმვა ციკლურია და ციკლები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: 1. ვითარების ანალიზი; 2. დაგეგმვა; 3. გეგმის განხორციელება; 4. შედეგების ანალიზი;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2..1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სკოლის დირექციამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მომქმედი მისიისა და ხედვის რევიზია/კორექტირება, რომლის დროსაც მაქსიმალურად ასახავენ სამოქმედო გეგმაში სკოლის მისიით მოცემულ მიმართულებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2. .1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია აღწერს პროცესებს: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება

.***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.***

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ზოგადად არის მითითებული შესაბამისი რესურსები და არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2..1.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები: N3 დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , N4 დანართი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია N56 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, აუცილებელია შემსრულებელ პირს/ორგანოს გადაეცეს სათანადო რესურსები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი აქტივობის შესასრულებლად.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლის მიერ ამ ეტაპზე წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოზე დირექტორის 2022 წლის ანგარიში, ასევე 2022-2023 სასწავლო წლის პედსაბჭოს ოქმი, რომელშიც განხილულია 2022-2023 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს, რაც დასტურდება სკოლის მიერ შევსებული ავტორიზაციის განაცხადით, რომელშიც წერია, რომ სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით შემუშავებული სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში გახდება საჯარო: გამოიკვრება სკოლის ფოიეში, გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1. 2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. რის საფუძველსაც გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ, რა მეთოდებით მოახდენს სკოლა შვიდწლიანი და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას, როგორ გამოიყენებს ის მიღებულ შედეგებს ახალი ციკლის დაგეგმვისთვის

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები : N2 დანართი -გამოქვეყნებული სტრ. განვითარების გეგმა, N4 დანართი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, N15 დანართი ერთწლიანი გეგმა(გამოქვეყნებული), N56 სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ, N67 დანართი FB -სოცქსელზე გვერდი, N71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც დასტურდება სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტით -„სკოლის დებულება“- სადაც არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია დაწვრილებითაა განსაზღვრული. ასევე შიდასასკოლო დოკუმენტებში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, სტრატეგიული განვითარების გეგმა ,ერთწლიან სამოქმედო გეგმა, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები, დაწვრილებით არის გაწერილი მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სექტორები, პასუხისმგებლობები, სკოლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. სკოლის მიერ წარმოადგინილ დოკუმენტში „სკოლის სტრუქტურა“

შესატანია კორექტივი(მაგ. აკლია ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი, მნე , ასევე გასასწორებელია სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართება).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ამას ადასტურებს სკოლის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შეთანხმებით ისეთი დოკუმენტების შემუშავება, როგორიცაა „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“ და „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის დებულება“, რომლითაც ადმინისტრაცია ახორციელებს ეფექტურ მართვას. მათში დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო სუბიექტების საგამანათლებლო პროცესებში ჩართვის, მათი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, წახალისებისა და ადმინისტრირების, პერსონალის მართვის განსაზღვრული პოლიტიკა(სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი), საგანმანათლებლო პროცესების მართვის, მონიტორინგის, შეფასების, დაგეგმვის პროცესები გადანაწილებულია პასუხისმგებელ პირებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი - ხარისხის განვითარების ჯგუფი. თანამშრომლებთან დადებულია ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობასთან შეთანხმებით. სკოლის თანამშრომლების შესარჩევი პროცედურების ამსახველი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პედაგოგების, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები)

დანართი: N1 დანართი- სტრატეგიული განვითარების გეგმა, N3 დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, N6 დანართი სკოლის სტრუქტურა, N7 დანართი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, N10 დანართი თანამშრ.ხელშეკრულებაN11 დანართი მასწ.ხელშეკრულება, N13 სკოლის დებულება, N14 დანართი პერსონალის მართვის პოლიტიკა, N69 საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას სტრატეგიული გეგმის მიხედვით 4 ძირითადი სტრატეგიული მიმართულებიდან ერთერთი სკოლის ადამიანური რესურსის მართვის გაუმჯობესებაა. პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტით „სკოლის დებულება“ და „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ სადაც იქ არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები დაწვრილებითაა განსაზღვრული. ადამიანური რესურსის მართვისას სკოლის სტრატეგიაა პედაგოგთა საქმინაობის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ხელს შეუწყოს ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. კანონმდებლობის საფუძველზე ხდება ადამიანური რესურსების მართვის ყველა კომპონენტის გათვალისწინება: პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. შესაბამისად, სკოლა ადამიანურ რესურსებს მართავს კანონმდებლობისა და საკუთარი პირობების მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზეა საუბარი. ამ და სხვა დოკუმენტებში ასახულია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკაც. (მაგ. „სსიპ - გორის მუნიციპალიტეეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლისხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“) ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.***

3. დოკუმენტით „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, (თავი III პერსონალის მართვის პროცედურა, მუხლი 14. და მუხლი 15) იკითხება, რომ სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო კომისიის ოქმებიდან ჩანს რომ კომისია კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი შერჩევისას დირექტორი არ იყენებს კონკურსის წესს. (მუხლი 14. პერსონალის სამსახურში მიღების წესი, პუნქტი 4)სკოლის სხვა პერსონალის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლის მაძიებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. თუმცა ხაზგასმულია, რომ თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. სასურველია ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დასაცავად სკოლის ყველა ვაკანსიის შესავსებად გამოიყენოს ადმინისტრაციამ კონკურსის წესით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა.თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; ნასამართლეობის და ნარკოლოგიური შემოწმების <u>„სქესობრივი ძალადობისა“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები. სკოლას მიეთითა, რომ ცვლილება უნდა იქნას შეტანილი დოკუმენტში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მუხლი17, პუნქტი2 (პირად საქმეში შესანახი დოკუმენტების ჩამონათვალს უნდა დაემატოს ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ - "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის</u>

<u>შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სასამართლოს</u> გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, პირს ჩამოერთმევა პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საკუთარ პერსონალთან. სკოლას ამჟამად ჰყავს 1 მოწვეული, 1 შემცვლელი, 28 უფროსი, 6 წამყვანი მასწავლებელი. eschool-ის ბაზაში მასწავლებელთა მონაცემები სრულადაა ასახული. პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5. 2023 წლის სამოქმედო გეგმაში (მუხლი4) დიდი ადგილი აქვს კოლეგიური ორგანოების მუშაობის გააქტიურებას. რაც მოიცავს საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა საკითხების განხილვას, კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ მათთვის საინტერესო საკითხების, პროექტების, ღონისძიებების ინიცირებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობის ხელშეწყობას და იდეების განხორციელებაში დახმარების გაწევას, მრჩეველთა საბჭოსა და დიციპლინური კომიტეტის მუშაობის ხელშეწყობას, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობას. სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, განხორციელებული პროექტები, რომლებშიც სხვადასხვა საგნის პედაგოგები თანამშრომლობენ (მაგ. ეკოკომიტეტი) და ა.შ. სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლები ონლაინ ფორმატში ჩართულები არიან სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებში.

სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჰყავდა 1 პრაქტიკანტი, რომელსაც მასწავლებლის დახმარებით ჩაუტარდა არაერთი კონსულტაცია, მიეცა რეკომენდაციები. სკოლაში პრაქტიკის გავლით მას საშუალება მიეცა მასწავლებლის მეთვალყურეობით დაეგეგმა და ჩაეტარებინა რამდენიმე გაკვეთილი.

2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მე-3 მუხლის „უ" პუნქტის შესაბამისად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით აკვირდება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..5. სტანდარტს შეესაბამება.

6. დოკუმენტებით „პერსონალის მართვის პოლიტიკა"(მუხლი 9) და სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 10)თანამშრომელთა წახალისების სისტემაა მოცემული:

1. პერსონალის მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ. პროფესიულ განვითარებაში პერსონალის დაინტერესებულობის გაზრდისკენ.

2. სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელის გადაცემა;

გ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა;

დ) ფულადი პრემიის გაცემა.

შინაგანაწესში ემატება „ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა". დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა

სკოლაში საერთო ბრძანებების ჟურნალის შესწავლისას დამხმარე პერსონალისთვის პრემიის დანიშვნის ბრძანებები იქნა მოძიებული - გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის შემოსავლები იძლეოდა დასაქმებულების წახალისების შესაძლებლობას, 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა პრემიების მუხლი, რომელმაც შეადგინა 10000 ლარი. (სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ N72).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2.6. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N1 დანართი- სტრატეგიული განვითარების.გეგმა, N7 დანართი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი საჯარო, N8 დანართი .შინაგანაწესი, N9 დანართი ვაკანსიის სქრინი, N10 დანართი თანამ.შრ.ხელშეკრულება, N11 დანართი მასწ.ხელშეკრულება, N12 დანართი საკონკურსო კომისიის ოქმი, N13 სკოლის დებულება, N14 დანართი პერსონალის მართვის პოლიტიკა, N71 დანართი - ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის), N71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის), N71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბN114 ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი(ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია)რის), N111 დანართი ვაკანსიის სქრინი (2), N112 დანართი ვაკანსიის სქრინიN113 დანართი უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი, N115 დაწყებითების კათედრის ოქმი, N116 დანართი ზერტის პროექტები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ამოცანა, რაც შემდეგ აქტივობებს მოიცავს : მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა, ზოგადი განათლების რეფორმის (ახალი სკოლის მოდელის) ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოებისთაობაზე (საჭიროების შემთხვევაში), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესი პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება. დოკუმენტში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (მუხლი 8) საუბარია პერსონალის შეფასებასა და განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმზე.

ამ დოკუმენტით სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ ანალიზზე. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა, პერიოდულად უნდა გამართოს შეხვედრები სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამხმარე პერსონალთან). აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს.

ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის და ანალიზის საფუძველზე, დირექტორის მოადგილე, ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. გამოვლენილი საჭიროება აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ეხება ასევე სასკოლო დოკუმენტი „ხარისხის განვითარების მექანიზმი“ (მუხლი 6. ადამიანური რესურსის შეფასება). აქ საუბარია სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემაზე (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა შეფასებისას მოხდება აკადემური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

• სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;

• სწავლების მეთოდების შერჩევა;

• შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

• მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;

• საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;

• საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

სკოლა აწარმოებს პერსონალის მუშაობის მინიტორინგს(N94 დანართი) თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს რეაგირებას, მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (**მუხლი 7. პერსონალის განვითარება) განსაზღვრულია რომ** სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ეს პროცესი მოიცავს აქტიურ კომუნიკაციას, მოსმენას და პატივისცემას. პერსონალის პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელსაც სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის გეგმა(მუხლი 7, პუნქტი 3). სკოლა ჩართული იყო პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში“და ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პედაგოგებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, „ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩებთან სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობას, რასაც ადასტურებს ურთიერთადსწრების ოქმები და პედაგოგების ურთიერთანამშრომლობით შექმნილი დოკუმენტები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.„პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ (მუხლი 7. პერსონალის განვითარება, პუნქტი 1) ხაზგასმულია, რომ „ სკოლა ზრუნავს პერსონალის კარიერული წინსვლის შესაძლებლობაზე, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას ხელი შეუწყოს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ადმინისტრაციამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგების სხვადასხვა ტრენინგებზე(სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვ), კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(ცნობები, სერტიფიკატები).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. შიდასასკოლო რეგულაციით (დოკუმენტი „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა“ **მუხლი 16**)სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე - მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია: თანამშრომელს აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს; **გ**ანუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას; აცნობს უსაფრთხოების სამუშაო გარემოსთან. სამუშაო გარემოსთან თანამშრომლობის იტეგრაციის მექანიზმად შეიძლება მოვიაზროთ სკოლის სამასწავლებლო, სასკოლო კათედრებისთვის გამოყოფილი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი

ლაბორატორიები. სასურველია რომ სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროცესი პროცედურულად უფრო სრულყოფილად წარიმართოს.(მაგ ახალი პედაგოგის მიღების შემთხვევაში კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე. სკოლის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება პირველი სამუშაო დღის განსაკუთრებულობის უზრუნველყოფა, კათედრაზე წარდგენა, მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა. თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (დახურული ჯგუფები, ელექტრონული ჟურნალი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მოსწავლეებისთვის წარდგენა სამუშაო წესების, პროცედურებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაცნობა. და სხვ.)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. შიდასასკოლო დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ (**მუხლი 6. ადამიანური რესურსის შეფასება) ხაზგასმულია, რომ** სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. თუ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

სკოლის შვიდი კათედრა ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებს პედაგოგების პროფესიული განვითარებას, რაც ასახული სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუირების დროს დაასახელდა არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან გაწეულ მხარდაჭერაზე მიუთითებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N3 დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , N7 დანართი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი საჯარო, N13 სკოლის დებულება, N14 დანართი პერსონალის მართვის პოლიტიკა , N14 დანართი პერსონალის მართვის პოლიტიკა , N19 დანართი ტრენინგის ცნობა, N20 დანართი სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023, N21 სასკ.სასწ.გეგმა(თავფურცელი), N22 დანართი სასწავლო კალენდარი 2022-2023, N23 დანართი სასკოლო დღის განრიგი, N24 დანართი შეფასების რუბრიკები,N25 დანართი საათობრივი ბადე 2022-2023 არაქართულენოვანი, N26 დანართი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა 2022-2023, N27 დანართი N8.1 ინდ გეგმის ნიმუში 1-10 კლასები, N71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის), N94 დანართი დირექციის მიერ დამრიგებლის შეფასება და კომენტარი, N117 დანართი ურთიერთდასწრების ანგარიში, N118 დანართი სკოლის პედაგოგთა თანამშრომლობით შექმნილი შეფასების კრიტერიუმები

[i]შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ რომელიც არეგულირებს სსიპ სკოლის სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მისი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მკაფიოდ გაწერილი და საჯარო (სასკოლო საზოგადობასა და თემთან გაზიარებული) ხედვის/დოკუმენტის/ების საფუძველზე. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს, სამეურვეო საბჭოსთან შეათანხმებს და პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასკოლო სასწავლო გეგმას <u>(წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა, ხოლო 2023-2024 წლის პროექტზე ვიზიტის დროს სკოლა მუშაობდა).</u>

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებული სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები: მოსწავლეთა საგანმანათლებლო უნარების განვითარების დინამიკის-დადგენა და რეიტინგის განსაზღვრა, შემაჯამებელი წერების მონიტორინგი, განმავითარებელი შეფასებების გაზიარება მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის, ისგ ჯგუფების შექმნა და ისგ გეგმების შემუშავება,

  თემთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის გააქტიურდება თითოეული კლასის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სოციალური ქსელის მეშვეობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა ზრუნავს საზოგადოების (მშობლების, სამინისტროს) დაკვეთის მაქსიმალურად ხარისხიანად დაკმაყოფილებაზე. სკოლა თანამედროვე მეთოდოლოგიის (სწავლა კეთებით, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტებით სწავლებით, ინოვაციური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივოს მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის; შედეგად, ცდილობს მოიპოვის და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მშობლებისა და მოსწავლეების) ნდობა, კეთილგანწყობა, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება სკოლაში ზემოთაღნიშნულ მიდგომასთან შესაბამებული და საჯაროდ გამოქვეყნებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ საფუძველზე. სკოლის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარება, მხარდაჭერის ჯგუფების ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა. დებულება შეიცავს ჯგუფის საქმიანობის მიზანს და ამოცანებს, სამოქმედო პრინციპებს, წევრთა შემადგენლობას, მათ მოვალეობებს, შეხვედრების სიხშირესა და ფორმატს. სკოლის აქტივობები ზიარდება სკოლის Facebook გვერდზე „ზერტის საჯარო სკოლა“ ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის შექმნილია დახურული საკლასო ჯგუფები, რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ამ ჯგუფების არსებობამ ძალიან გაადვილა სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია.

სკოლა აქტიურად იყენებს Teams-ის ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სკოლაში არის შენობაში შემოსული პირებისათვის საინფორმაციო დაფები: ადმინისტრაციისათვის და მასწავლებლებისათვის, ცალკე მოსწავლეებისათვის, სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემა. სამეურვეო საბჭო განიხილავს გარედან შემოსულ საჩივრებს ან დისციპლინარული კომიტეტის მიღებული გადაწყვეტილებებზე საჩივრებს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მშობლებისა და მოსწავლეების, მასწავლებლების განცხადებებს. მშობლების საშუალება აქვთ სემესტრული ნიშნის უკმაყოფილების შემთხვევაში მიმართოს დირექტორს და ინიშნება სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდა. თანამშრომლებს სკოლის დირექტორის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში საქალაქო სასამართლოში შეუძლიათ, თუ საქმე ეხება შრომითი ურთიერთობას. დანარჩენი საკითხები ჯერ განიხილება დირექტორთან, შემდეგ დისციპლინარულზე და უკიდურეს შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. საჩივრების განხილვისას სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებთ“(მუხლი 15 მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა საჩივრის განხილვის წესი) და დოკუმენტით „სკოლის დებულება“ (მუხლი 38. მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვა)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ისინი გაწერილია შინაგანაწესში, სკოლის წესდებაში, თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში „სკოლის დებულებაში“. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი: N7 დანართი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი საჯარო,N10 დანართი თანამშრ.ხელშეკრულება, N11 დანართი მასწ.ხელშეკრულება, N13 სკოლის დებულება, N14 დანართი პერსონალის მართვის პოლიტიკა, N28 დანართი მშ.კრების ოქმი, N29 დანართი გაერთიანებული მშ.კრ.ოქმი, N31 დანართი მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოურ ენაზე 2022, N32 დანართი

მშობლებთან ხელშეკრულება, N33 დანართი მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, N35 დანართი შინაგანაწესი, N71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტებს მუშაობის პროცესში ხშირად სჭირდება ცვლილებებს შეტანა, რადგან სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ითვალისწინებს სკოლის, მოსწავლეების, თანამშრომლების, გარემოს არაერთგვაროვან მოთხოვნებს, შეხედულებებს, პრაქტიკას. ყველა დებულებას/დოკუმენტს აქვს მუხლი ცვლილებების შემუშავებისა და შეტანის პროცედურების შესახებ. დოკუმენტის შემქმნელი ჯგუფი(ჯგუფუ დგება დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე :სკოლის დირექტორი, მოადგილე, ბიბლიოთეკარი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, პედაგოგი და სხვ) განიხილავს ცვლილებებს საჭიროებისამებრ, გააქვს ეს ცვლილები სამეურვეო, პედაგოგიურ, მრჩეველთა საბჭოებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობაში, მშობელთა კრებებზე გასაცნობად, განსახილველად ან დასამტკიცებლად, რაც დასტურდება ოქმებით. შესაბამისი დოკუმენტი პროექტის ან საბოლოო სახით გამოიფინება თვალსაჩინო ადგილზე -განცხადებების დაფაზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლაში

ხშირად ტარდება მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები, კრებები. სწავლის პროცესის, შეფასებისა და სკოლის გარემოს მოწყობის შესახებ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შიდასასკოლო დოკუმენტით „**სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება**“ **ხაზგასმულია** „სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.“(**მუხლი 7. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები)**

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი: N118 დანართი სკოლის პედაგოგთა თანამშრომლობით შექმნილი შეფასების კრიტერიუმები, N32 დანართი მშობლებთან ხელშეკრულება, N33 დანართი მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, N34 დანართი ბრძანება 2-10 მშობლებთან ურთიერთობის დებულების შესახებ, N34 დანართი ბრძანება 2-10 მშობლებთან ურთიერთობის დებულება, N35 დანართი შინაგანაწესი(თავფურცელი), N36 დანართი.შინაგანაწესი, N37 დანართი პედსაბჭოს ოქმი ისგ.გეგმის დამტკიცება, N38 დანართი სამეურვეოს არჩევნები, N39 დანართი დისციპლინურის ოქმი, N40 დანართი დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შესახებ, N91 დანართი დამრიგებლის პორტფ. ცირა ტერტერაშვილი, N92 დანართი წერილი მერიასთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთერთი მიმართულებაა(**N4**) სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ" N508 დადგენილების შესაბამისად „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა" (სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 თებერვლის N1/კ-01 ბრძანება). <u>**უნდა აღინიშნოს რომ გეგმა არ არის შეთანხმებული შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან და ვერც წერილობითი მიმართვა წარმოადგინა სკოლამ , ასევე გეგმაში შეტანილი არ არის სოფელ კვარხითში განთავსებული კორპუსის მონაცემები.**</u> საევაკუაციო გეგმები განთავსებულია ყველა სართულზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, ამ მიზნითაც სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ცხელი ხაზის ნომერი,

სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი; სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით.კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი(დანართი N44) სკოლას გააჩნია დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის საფუძველზეც გაცემულია მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახელზე, რომლისთაც სკოლის ადმინისტრაცია ითხოვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრაში დახმარებას(N53). სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა „ (N45)სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის და მოთავსებულია სამედიცინო კაბინეტში. მოსწავლეთა რაოდენობიდან(377) გამომდინარე სკოლამ კონკურსი გამოაცხადა სკოლის ექიმის ვაკანსიაზე, თუმცა შესაბამისი კანდიდატის არარსებობის გამო კონკურსი ორჯერ ჩაიშალა. ექთნის შტატი შეათანხმებულია სამინისტროსთან, რაც შესაბამისი დოკუმენტაციით დასტურდება. სკოლის ექთანი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის შესაბამის ღონისძიებებს. ექთანი აწარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, ატარებს პრევენციულ საუბრებს. საგულისხმოა, რომ რისკების შეფასების ნაწილში სკოლის ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობით გამოწვეული საფრთხეები არ არის გათვალისწინებული._სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 თებერვლის #1/კ-01 ბრძანებითვე სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. **სკოლას არ გააჩნია ზერტისა და კვარხეთის სასწავლო კორპუსების მდგრადობის შესახებ დასკვნა და წარმოადგინა წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მისამართით, რომლითაც ითხოვს ბიურომ შეისწავლოს შენობის მდგრადობა.** (დანართი N55)

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

1. **ზერტისა და კვარხეთის სასწავლო კორპუსების მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2023 წლის 7 სექტემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**

2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2023 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს სკოლაში უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და *კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს (დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპეციალური ინსტრუქციები. სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის 2 მანდატური.* სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი მეტალოდეტექტორი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარების დროს სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით. სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლაში კეთილგანწყობილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც იკითხება დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამიდან და დამრიგებლების პორტფოლიოებიდან. კვირაში ერთხელ სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლის ყველა საფეხურის კლასებში დამრიგებლები უთმობენ დროს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოების თემატიკას და მოზარდთა სოციალურ-ემოციურ სწავლებას. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტები „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“ და „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვას, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სსიპ

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

ასევე სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეების უფლებების დაცვაზე. უტარებენ შესაბამის თემაზე საუბრებს, ტრენინგებს, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლას ჰყავს ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი - დოკუმენტით „სკოლის დებულება“ **მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კორდინატორი** ხელმძღვანელობს სკოლის ტერიტორიის დასუფთავების, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს; ასევე ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს დამხმარე პერსონალის სამუშაოებს; სკოლას ემსახურება 4 დამლაგებელი. სკოლის ექთანი, როგორც მითითებულია მის სამუშაო აღწერილობაში, ვალდებულია განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე მონიტორინგი, სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ, გააკონტროლოს სკოლის ბუფეტში სისუფთავე, საკვები პროდუქტების, დამზადებული საკვების ხარისხი; კონტროლი გაუწიოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების ჯეროვნად შესრულებას. დასუფთავების გრაფიკი დადგენილია და გაკრულია სველ წერტილებში. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები ცალ-ცალკე ადაპტირებული, გოგონების, ვაჟების, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა. გათვალისწინებულია სანიტარული კვანძები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ყუთი (უკონტაქტო). სანიტარული კვანძები აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით. სკოლაში სასმელად გამოყენებული სისტემის

გამდინარე წყლის ხარისხი შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.4. სტანდარტს შეესაბამება.***

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის 2021 წლისთებერვლის N2-03 ბრძანებით დამტკიცდა დოკუმენტი „**სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ რომლის** მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი: მონაცემთა დაცვის პრინციპები, თანამშრომელთა, მოსწავლეთა, მშობლების, ვიზიტორების შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მატერიალური და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, ელექტრონული ბაზის წარმოებისას.

დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება **(მუხლი 14.):**

ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ: **სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებლს**.

სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: **დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექიმს. დირექტორს** Teams პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს კალენდარზე/საგაკვეთილო ცხრილზე. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი კლასის (ჯგუფის, გუნდის) ფორმირებისას შესაბამის გრაფაში (Teachers) დაამატებს სკოლის დირექტორს, მას შესაძლებლობა ექნება დაესწროს გაკვეთილზე.

დირექტორის მოადგილეს Eschool-ის ბაზაში რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს სკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლის მონაცემებზე,

საქმისმწარმოებელს წვდომა აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე, ასევე Eschool-ის ინდივიდუალური მომხმარებლით ბაზაში მისთვის ხელმისაწვდომია სრულად ის ინფორმაცია, რომელიც დაშვებულია დირექტორის მომხმარებლისთვის.

დამრიგებლებს წვდომა აქვთ საკუთარი კლასის მოსწავლეების პირად საქმეებზე, მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებზე (მატერიალურსა და ელექტრონულზე), ასევე, მათი კლასის მოსწავლეთა მშობლების შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც განთავსებულია პირად საქმეში,

მასწავლებელს Teams პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლით წვდომა აქვს მხოლოდ იმ კლასის და საგნის მონაცემების შესახებ, რომელსაც ასწავლის.

ბუღალტერს წვდომა აქვს თანამშრომელთა შესახებ შემდეგ ინფორმაციაზე: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, განათლების შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების და შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ ინფორმაცია.

ექიმს წვდომა აქვს თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (აცრებზე ინფორმაცია, სავალდებულო კვლევები სხვადასხვა ინფექციასთან დაკავშირებით და ა.შ) ინფორმაციაზე.

დარაჯს წვდომა აქვს შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას შემდეგ მონაცემებზე: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესვლისა და გასვლის თარიღები, დრო და ვიზიტის მიზანი.

დოკუმენტში **ლაპარაკია ასევე მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობაზე და ვალდებულებაზე** დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

საქართველოს კანონების საფუძველზე შექმნილია და დაცულია ინფორმაციული უსაფრთხოების ლოკალური პოლისი რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემთა დამუშავების პრინციპს, საფუძველს, გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავებას, ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებას, შენობების ვიდეო თვალთვალის, სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის პროცესს. ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებებს „არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების“ შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. *სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი "საქმის წარმოების წესი", სადაც გაწერილია ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები და პროცედურები, ინფორმაციისა და დოკუმენტების არქივის შექმნა.*

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეებისა და მშობლების მშობელთა კრებებზე, თუ სადამრიგებლო საათების ფარგლებში ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

7.დაწესებულებამ პერიოდულად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“ (**მუხლი 17. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი) აღნიშნულია, რომ** სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად უნდა განხორციელდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ, **თუმცა ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლამ ვერ წარმოადგინა.**

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.7. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები N1 - სტრატეგ.გეგმა, N13 სკოლის დებულება, N41 საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება, N45 სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, N42 სგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა N43 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები 13.02.2021, N44 უსაფრთხოებაზე პასუხისმგე3ბელი პირები, N46 -ფოტო სკოლის ექთანი ატარებს საუბრებს, N47-ფოტო სკოლის ექთანი ატარებს შეხვედრებს N49 სამედიცინო შემთხვევები N48 დანართი სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღიცხვო ფორმა, N50 ბავშვთა დაცვა, N51 ბრძანება 2-04 მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, N55 წერილი შენობის მდგრადობის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით. **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას გააჩნია ორი კორპუსი - ძირითადი მდებარეობს სოფელ ზერტში, საკადასტრო კოდი 66.53.03.240, შენობის ფართია - 3875კვ.მ სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. სკოლაში სწავლობს 376 მოსწავლე, პერსონალი შეადგენს 46 პირს. შენობა სამსართულიანია, შენობის ტიპია - აგურის. აქვს სამი გამოსასვლელი. პირველ სართულზე სამი, მეორეზე სამი, ხოლო მესამეზე ორი. შენობა უზრუნველყოფილია დენითა და წყალმომარაგებით. ექსპლუატაციაში შესულია 1976 წელს. სკოლას აქვს ეზო, რომელიც შემოფარგლულია რკინის ღობით. ეზოს ფართობია 15000კვ.მ. ეზოში არის სხვა შენობა–ნაგებობები. კერძოდ, საქვაბე და სადაწნეო წყლის კოშკი. სკოლას გააჩნია კიდევ ერთი კორპუსი სოფელ კვარხითში, სადაც სწავლება მიმდინარეობს დაწყებით საფეხურზე(1—4 კლასები) ორ კლასკომპლექტში. საკადასტრო კოდი 66.53.19.044, შენობა -ნაგებობის ფართი 59,03კვ.მ. , ეზოს ფართი 1192 კვ.მ. შენობა ერთსართულიანია, ორი საკლასო ოთახით და ეზოში მდგარი სველი წერტილით, ეზო შემოღობილია რკინი ღობით.

სკოლის ძირითადი კორპუსი სრულად რეაბილიტირებული, უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით განათლების სამინისტროდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანამედროვე ლაბორატორიებით თავისი აღჭურვილობით, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი შესაბამისი ავეჯით, სპორტული დარბაზი გასახდელებით, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი სველი წერტილები, დახურული და ღია სარეკრეაციო სივრცეები, ვიდეოთვალთვალის სისტემა, დიდი ეზო ბუნებრივსაფარიანი ფეხბურთის და სპორტული მოედნით. **რაც შეეხება სოფელ კვარხეთში განთავსებულ კორპუსს- აქ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწყებითი საფეხურის 1-4 კლსებში(ორი კლასკომპლექტია) - ის წარმოადგენს ერთსართულიან, ოროთახიან შენობას, რომელიც 5 კმ_ით არის დაშორებული ძირითად კორპუსს. სველი წერტილი განთავსებულია ეზოში. კორპუსს არ აქვს სპორტული დარბაზი და მოედანი, სააქტო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ვერ სარგებლობს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით, ექთნის, სასკოლო ბუფეტის მომსახურებით.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება მოსწავლეებისთვის ძირითად კორპუსში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების(ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ექიმის მომსახურება) გამოყენებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში

2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს სოფელ კვარხითში განთავსებული კორპუსის მოსაწვლეებისათვის. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვს ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრა: სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება სკოლის შენობაში მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ, მათ შორის მერხები, სკამები, დაფები), ინფექციის პრევენციის მიზნით საჭირო მატერიალურ-ტექნიკური მარაგების შეძენა, სკოლის ეზოს კეთილმოწყობა. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად სკოლა თანამშრომლობს ქალაქ გორის მერიასთან. ჩამოთვლილი

აქტივობების შესრულება დასტურდება სკოლაში წარმოდგენილი დოკუმენტებით (დეფექტური აქტები, ინვოისები, მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტოები, წერილები).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2.სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია პერსონალური კომპიუტერებითა და „ჭკვიანი დაფით“, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ მუშაობა, მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამასწავლებლოში განლაგებულია 3 კომპიუტერი, ბიბლიოთეკაში 1 ლეპტოპი; სკოლას აქვს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ლაბორატორიული მოწყობილობებით და ჭურჭლით. ლაბორატორიაში ქცევის და უსაფრთხოების წესებს მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს. სკოლას აქვს პროექტორები და ასლგადამღები-საბეჭდი ტექნიკა.

სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. არსებობს მკითხველთა დარბაზი, სადაც განთავსებულია საკატალოგო და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ რომლის თანახმადაც ხდება საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები/ მატერიალური რესურსები ბიბლიოთეკა, ბუფეტი, სპორტული მოედანი და დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ექიმის კაბინეტი) სრულად არ არის ხელმისაწვდომი სოფელ კვარხეთში განთავსებული სკოლის მოსწავლეებისათვის/ მასწავლებლებისათვის**.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში

2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.2. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რაც დასტურდება სასკოლო შენობის ძალიან კარგი მდგომარეობით - სკოლა ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში სრულადაა რეაბილიტირებული. შესაბამისად მისი ინფრასტრუქტურა სახელმწიფო სტანდარტებს შეესაბამება. საკალასო ოთახები ნათელია, ფართო და აქვს კარგი სავენტილაციო სისტემა. ფანჯრის რაფები მორთულია ქოთნის ყვავილებით. ამ სკოლის შენობისთვის დამახასიათებელია დიდი სარეკრეაციო სივრცეები და ფართო დერეფნები, რომლებიც ასევე მორთულია მწვანე მცენარეებით კედლებზე გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, ფოტოები, ნახატები. პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო, შენობას შესასვლელი პანდუსი არ სჭირდება, რადგან სადარბაზო შესასვლელის დონე უთანაბრდება გარეთა მოედნისას. პირველ სართულზე არის ფართო გადაადგილების სივრცე, შშმ პირებს თავისუფლად შეეძლებათ ბიბლიოთკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სველი წერტილით სარგებლობა, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია, ბუფეტით სარგებლობა, სამედიცინო კაბინეტთან მისვლა. სკოლას აქვს დიდი, გამწვანებული ეზო (გამწვანების სამუშაოები გრძელდება) ეზო ფეხბურთისა და სპორტული მოედნით. სოფელ კვარხეთის კორპუსში მყოფ მოსწავლეები ვერ სარგებლობენ ზემოთჩამოთვლილი რესურსებით. აქ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს არატიპურ ოროთახიან შენობაში, რომელსაც არ აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი, კომპიუტერული საბორატორია, სააქტო დარბაზი და სხვ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება სოფელ კვარხეთში განთავსებულ კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირებისთვის სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.3. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

4. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეებს ჰქონდეს აღჭურვილი სოციო-კულტურული სივრცეები. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, რომელშიც ტარდება პედაგოგიური საბჭოები, მშობელთა სათათბიროს კრებები, ტრენინგები, სხვადასხვა ღონისძიებები, კონცერტები, გამოფენები, პროექტების პრეზენტაციები და სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტის გაკვეთილები, სპორტული ოლიმპიადები.

ფუნქციონირებს ცეკვის და სპორტული წრეები. სკოლაში ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს სამკითხველო, სადაც არის წიგნების კატალოგი, მეთოდური ლიტერატურა, ატლასები და კლასიკური ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სივრცე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განკუთვნილია როგორც ღონისძიებებისათვის, ასევე კლუბური მუშაობისათვის. სკოლის შენობის ყველა სართულზე არის სარეკრეაციო ზონები, რომელიც მორთულია დეკორატიული ყვავილებით. ამ სივრცეებს სკოლა იყენებს გამოფენების, სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად. თითოეულ ზონაში მოთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო დაფები. სკოლის ეზოში ასევე არის მოსწავლეთა ძალებით მრავალწლოვანი ნარგავებით გამწვანებული სივრცე,ფეხბურთის სპორტული მოედანი. **სოფელ კვარხითში განთავსებული კორპუსის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის მოზარდების მოთხოვნების შესაბამის სოციო-კულტურულ გარემოს, რადგან მოზარდებისათვის ტერიტორიული დაშორების გამო მოუქნელია სკოლის სოციო-კულტურულ სივრცით სარგებლობა.** ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია:***

უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება სოციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების(არ გააჩნია სპორტული დარბაზი, მოედანი, სარეკრეაციო სივრცე, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ) უზრუნველყოფასთნ დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში

2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.4. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

5. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის მიერ დადგენილი წესი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს სივრცეს დამოუკიდებელი და ჯგუფური მეცადინეობებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის, სკოლის წესდებისა და ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურით და შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეთათვის. ბიბლიოთეკის სივრცეში თანაბრადაა გამოყოფილი ბუნებრივად განათებული სივრცე მოსწავლეთათვის და შესაბამისი სტანდარტების დაცვით განთავსებული საბიბლიოთეკო

ფონდი. **თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამკითხველო დარბაზში მაგიდები განთავსებული იყო წრეზე შეჯგუფულად და ბუნებრივი განათების უთანაბრო განაწილებას იწვევდა, რაზეც ყურადღება იქნა გამახვილებული.** საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა არის ხელმისაწვდომი ბეჭდური სახით სკოლის ბიბლიოთეკაში, ასევე დასაშვებია თავისუფალი წვდომის რეჟიმში არსებული, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება, შესაბამისი ბმულების (ინტერნეტ-მისამართების მითითებით). სკოლა გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევას ახორციელებს შესაბამისი საგნობრივი კათედრის მიერ. ბიბლიოთეკა მომარაგებულია სახელმძღვანელოების შესაბამისი რაოდენობით. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და ცარცით, სკოლას აქვს სპორტული აქტივობებისთვის - სპორტული დარბაზი და ბუნებრივსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელსაც აქვს ვენტილაციის გამართული სისტემა, კომპიუტერული კლასი „ ჭკვიანი დაფით' და პროექტორებით. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის სისტემა ბუნებრივ აირზე. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა სასწავლო რესურსების განახლება:წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შევსება ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა, სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების, თვალსაჩინოებების შეძენა და მათი პერიოდული განახლება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის წარმართვა და შეთანხმება მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ძირითად კორპუსში არსებული კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკაშირებით მათი ტრანსპორტირება სოფელ კვარხეთიდან ძირითად კორპუსში

2023 წლის 16 ოქტომბრიდან 2024 წლის 15 სექტემბრამდე.*აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.5. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები: N3 დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,N55 დანართი. შენობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზის წერილი, N57 დანართი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, N58 კვარხეთის კორპუსის აზომვითი ნახაზი, N59 სკოლის კორპუსის აზომვითი ნახაზი, N60 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან(კვარხეთი), N61 დანართი ბიბლიოთეკის დებულება საჯარო,N61 დანართი ბიბლიოთეკის დებულება საჯარო.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის, ასევე სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფილია კომპიუტერული ლაბორატორიით, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, პროექტორი, ეკრანი, „ჭკვიანი დაფა“ ასევე სკოლის პერსონალისთვის

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებული 1 პერსონალური კომპიუტერი, სამასწავლებლოში 3 პერსონალური კომპიუტერი; რესურს ოთახში 1 პერსონალური კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში 12 პერსონალური კომპიუტერი და 8 ლეპტოპი: მანდატურის, ექიმის, ბუღალტრისათვის 3 პერსონალური კომპიუტერი; დირექტორისათვის 1 პერსონალური კომპიუტერი; ტოკენისთვის 1 კომპიუტერი. სკოლაში არის 3 ერთეული პროექტორი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქ არის უკაბელო ინტერნეტი (Wi- Fi). მასწავლებლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში, ყველა საკლასო ოთახში. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა- სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კვარხეთის კორპუსში სასწავლო პროცესი 1-4 კლასებში მიმდინარეობს, ამიტომაც ყველა მოსწავლეს გააჩნია სახელმწიფოს მიერ საჩუქრად გადაცემული „ბუკები“, ხოლო მასწავლებლებს ლეპტოპები. ყველს საკლასო ოთახს ფარავს უკაბელო ინტერნეტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ რომლითაც განსაზღვრულია სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები და ხაზგასმულია(მუხლი 1) რომ როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, „SMARTBOARD” - ჭკვიანი დაფა, პრინტერები, სკანერები, ლაბორატორიის აღჭურვილობა, რუკები, წიგნები და სხვა). დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი (**მუხლი 5. IT კაბინეტი) რომ** სკოლის IT კაბინეტით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს და თუ რა წესებია დასაცავი კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობისას. სკოლას ჰყავს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე

პასუხისმგებელი პირი ისტ-ის მასწავლებელი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის კვარხეთის სასწავლო კორპუსში(„ბუკები“, ლეპტოპები, პრინტერი)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი: N64 ფოტოები -ინფრასტრუქტურა, N62 მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებულია დოკუმენტები: „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის „ საქმისწარმოების ერთიანი წესები“ და სკოლის დირექტორის N2-79, 17.07.2020 ბრძანება „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლაში საქმისწარმოების განსხვავებული წესის შესახებ“, რომლის შესაბამისად სკოლაში დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს პრიორიტეტულად ელექტრონულად, ანუ თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმას eflows ანგარიშების, ოქმების, აქტების, განხცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად. სკოლის ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომლის სამუშაო აღწერილობა მოცემულია დოკუმენტში „სკოლის დებულება“ (მუხლი 17) პასუხისმგებელია დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებზე, დოკუმენტების ფორმებზე და ტიპებზე, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირებაზე, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესის დაცვაზე, დოკუმენტების შედგენაზე, გაფორმებაზე,

დავალებების შესრულების კონტროლზე და გაგზავნაზე, ინფორმაციის გაცემის წესზე, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვაზე. საქმისმწარმოებელი ვალდებულია მიიღოს და გააგზავნოს კორესპოდენციები სკოლის ელექტრონული ფოსტით zerti@mes.gov.ge. უზრუნველყოს მუშაობა Eschool.emis.ge-ში. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.

მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება,

2. სკოლის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კერძოდ ელექტრონულად ხდება საქმისწარმოება, eflow სისტემით, სკოლა სარგებლობს ელექტრონული ფოსტით zerti@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დოკუმენტ ბრუნვა მიმდინარეობს პრიორიტეტულად ელექტრონულად, ანუ თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის პლატფორმას eflows ანგარიშების, ოქმების, აქტების, განცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება,

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ის პლატფორმაზე სკოლის გვერდზე სრული წვდომა აქვს სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილეს. დირექტორმა მოვალეობების დელეგირებისათვის ადმინისტრაციის წევრებს გადაუნაწილა ფუნქციები. დირექტორი პასუხისმგებელია კლასების შექმნაზე, სკოლის ბარათზე, პირველკლასელთა ლიმიტზე, საგნების განაწილებაზე, პროფესიული განვითარების ჩანართზე. საქმის მწარმოებელს ევალება აკონტროლოს დარეგისტრირებული პირველკლასელთა სია, დოკუმენტების აღრიცხვა, მოსწავლეების ჩანართზე: კლასის ცვლილება, მობილობა, დონის დაძლევა, დისტანციური სწავლება. საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი ერთობლივად ავსებენ სახელმძღვანელოების ჩანართს. სკოლის ინფო-მენეჯერი კურირებს გაკვეთილების განრიგის, პირველკლასელთა მშობლების პირების მენეჯერიდან სასკოლო საზოგადოებაში ჩართვას. ბუღალტერს წვდომა აქვს მხოლოდ საშტატო განრიგის მონაცემებთან. მობილობის, კლასის დონის დაძლევის, კლასის დამრიგებლებს აქვთ, როგორც ყველა მასწავლებლებს, თავისი პირადი პროფესიული პორტფელიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან. და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება,

4.„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარსდგეს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შესახებ. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკუთარი ანგარიშით წარსდგება სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე და აბარებს როგორც ფინანსურ, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს. სკოლაში

ადგილზე იქნა წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენი ფინანსური დოკუმენტები (კვარტალური და წლიური ბალანსები და სხვ.) **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება,**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართები N10 დანართი თანამშრ.ხელშეკრულება, N13 სკოლის დებულება, N65 დანართი ბრძანება საქმისწარმოების განსხვავებული წესიN66 დანართი საქმისწარმოების წესიN70 დანართი ბიუჯეტის შესრულებისა და დამტკიცების შესახებ ოქმიN71 დანართი -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის)N72 ანგარიში ფინანსური.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მისი ინფორმირებულობის მიზნით სკოლას აქვს შექმნილი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ზე „ზერტის საჯარო სკოლა“ (https://www.facebook.com/zertis.skola/about) სადაც იტვირთება მიმდინარე სიახლეები, კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალა; სასკოლო და სასწავლო პროექტები. სადაც აქტიურად იტვირთება სკოლაში მიმდინარე აქტივობები. ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის სკოლა იყენებს TEAMS-ის პლატფორმას, სადაც შექმნილია საკლასო ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულია იმ კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. აქტიურად ხდება fb და Teams-ის ჯგუფების გამოყენება მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები. სკოლა იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად ელექტრონულ ფოსტას (zerti@mes.gov.ge). მშობლებს საშუალება აქვთ გაეცნონ შვილის ყოველდღიური შეფასების დინამიკას ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **სკოლას არ აქვს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა საჭირო ინფორმაცია :სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, პირველ კლასის ლიმიტი, მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესახებ და სხვ. ამიტომ მას მიეცა რეკომენდაცია:**

უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლა არ ავრცელებს გადაუმოწმებელ, არასწორ, შეცდომაში შემყვან მასალებს. ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის განცხადებების დაფას, ელფოსტას(zerti@mes.gov.ge) დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას(eflow) ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით (წერილის ნომრის მითითებით, კონკრეტული ორგანიზაციის დასახელებით). ამ წყაროებით ინფორმაციის გავრცელებაზე სკოლას ჰყავს დანიშნული პასუხისმგებელი პირი სასკოლო დოკუმენტის „საქმისწარმოების წესის„ შესაბამისად, რომელიც პაასუხისმგებელია გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. თიმსის პლატფორმის საგნობრივ გვერდებზე და ელექტრონულ ჟურნალის საგნობრივი სექტორების წარმოებაზე კი პედაგოგები, დამრიგებლები არიან პასუხისმგებელი. სკოლა სარგებლობს ასევე სოციალური ქსელით „ფეისბუქი“ პედაგოგთა თქმით, მის გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ელქტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს - Facebook გვერდს, მშობელთა კრებებს და სხვ. აქ შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირების, მოსაზრებების, რეკომენდაციების მიღებას და მთზე რეაგირებას სკოლა ახდენს მშობელთა კრებებზე, მოსწავლეებთა, პედაგოგებთან ჩატარებულ შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოებთან(მრჩეველთა საბჭო, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ). საზოგადოებასთან კომუნიკაციით. ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აქტიურად ხდება მშობლების მოსაზრებების გათვალისწინება, სკოლაში მშობლებისათვის სპეციალურად ოთახიც არის გამოყოფილი სადაც ისინი იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა სასკოლო პრობლემებს და სკოლას სთავაზობენ გადაწყვეტის გზებს. თუმცა, სკოლამ მატერიალურად ვერ წარმოადგინა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, მშობელთა გამოკითხვის მასალები(ინტერვიუები,

გამოკითხვები, ფოკუსჯგუფთან შეხვედრა და სხვ, კვლევის მეთოდები) ***სასურველია სკოლამ საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების, სხვადასხვა პროექტებისა თუ აქტივობის შეფასებისათვის, მომავალი საქმიანობის უკეთ დაგეგმვისთვის უფრო ინტენსიურად გამოიყენოს კვლევის სხვადასხვა მეთოდები და გაითვალისწინოს მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების თემის წარმომადგენლების აზრის გამოკითხის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები.***

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლას არ აქვს შექმნილი ვებ გვერდი და მას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება..

5. სკოლას არ აქვს ვებგვერდი - სადაც განთავსებული უნდა იყოს სკოლის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია(მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა) ეს ინფორმაციები გამოფენილია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) 2023 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 31 ნოემბრამდე

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება..

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N5 დანართი განცხადებების დაფა, N13 სკოლის დებულება, N30 დანართი მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება და დანართი N1, N32 დანართი მშობლებთან ხელშეკრულება, N67 დანართი FB -სოცქსელზე გვერდი, N68 დანართი სამეურვეო

საბჭოს არჩევნები, N161 დანართი სამოქალაქო კლუბი, N162 დანართი მოსწავლეთა კლუბი, N163 დანართი ზერტის სკოლის ფბ გვერდი

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ დოკუმენტებში წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შედგენილი მონაწილეობითი ბიუჯეტი(სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული), რომელიც რაციონალურადაა დაგეგმილი(შემოსავალი აბალანსებს ხარჯებს). მისი მომზადებისას სკოლას განსაზღვრული აქვს სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები, (სტარტეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე და სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმასთან თავსებადი) სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიურია. იგულისხმება, რომ შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას გააჩნია შემოსავალი ძირითადად ვაუჩერული დაფინანსებიდან, ასევე მას აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სავარაუდო შემოსავლები(სასკოლო ბუფეტის, სიმღერისა და და ცეკვის სტუდიისათვის ფართის იჯარით გაცემა - სულ 283,34 კვ.მ). მაგალითად 2022 წლის ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 630 ათასი ლარით. აქედან სკოლის კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი იყო 4550 ლარი. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი

ხმარდება შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან იფარება კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, ხდება სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთების შესყიდვა(საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები). ამასთან ხდება გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღებაც, რომელთა დაფარვაც ხერხდება სკოლის მიერ მიღებული შემოსავლებიდან. სკოლის შემოსავლები იძლევა დასაქმებულების წახალისების შესაძლებლობას, ამიტომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია პრემიების მუხლი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლამ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური და კვარტალური ბალანსები, რომლითაც ირკვევა რომ მას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელსაც აკეთებს სკოლის ბუღალტერი და წერილობით eflow-ის საშუალებით აწვდის დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში ინდ. აქტით შედის ცვლილებები. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. სკოლას აქვს SWOT ანალიზი ჩატარებული, წარმოდგენილ მასალებში არის დირექტორის ანგარიში გეგმის შესრულებაზე - სამეურვეო საბჭოს განრიგიდან დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების ნაწილის შეთანხმება და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N1 დანართი- სტრატეგ.გეგმა, N3 დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, N68 დანართი იჯარის(ბუფეტი) დოკუმენტებიN69 საშტატო განრიგი, N70 დანართი ბიუჯეტის შესრულებისა და დამტკიცების შესახებ ოქმი, N71 დანართი - ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის),N72 ანგარიში ფინანსური, N164 2023 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი -

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს ქვეყნის კანონმდებლობით და შიდასასკოლო ნორმატიული აქტებით: სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და სკოლის

სამეურვეო საბჭოს მიერ 2019 წლის 3 სექტემბერს N2 სხდომაზე დამტკიცებული შინაგანაწესით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულებით“ , „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადაობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციით“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმით“, „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის წესდებით“, „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკით“ და სხვ. *სკოლას ცალკე დოკუმენტად არ გააჩნია „ბავშვის უფლებათა კოდექსის” მიხედვით გასაჩივრების დეტალური პროცედურები,* თუმცა ზემოთჩამოთვლილ აქტებში არის მუხლები(სკოლის დებულება-მუხლი38, სკოლის წესდება- მუხლი 15, შინაგანაწესი -მუხლი 22)რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს, ასევე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლისა და მასწავლებლის/თანამშრომლის არასათანადო ქცევების სახეების, დისციპლინური წარმოების წესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების შესახებ. **უმჯობესია თუ „ბავშვის უფლებათა კოდექსის” მიხედვით გასაჩივრების დეტალური პროცედურები სკოლას ერთ დოკუმენტად ექნება ჩამოყალიბებული.** და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. სტრუქტურა ხელმძღვანელობს თვითმართველობის არჩევის წესით(სკოლის წესდება)სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. სკოლაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის 1 პედაგოგი, 1 მშობელი და 1 საშუალო საფეხურის მოსწავლე. მოსწავლეებს/ მშობლებს უფლება აქვთ მიმართონ დისციპლინარულ კომიტეტს, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევებში. შესაბამისად სკოლა იღებს მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტილებას. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის მანდატურის სკოლასთან კოორდინირებულ მოქმედებას, რომლის შემადგენლობა კანონის მიხედვით მტკიცდება სკოლაში დირექტორის ბრძანებით. სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, (დანართი 12, გვ11) რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვას. სკოლაში მანდატურის სამსახური წარმოდგენილია 2 პირით, რომლებიც კანონის ფარგლებში ახორციელებენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან,, მოძრაობის წესების, ბულინგის პრევენციის შესახებ. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი

და ჰყავს სკოლის ექთანი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე. სკოლაში მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციებს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.არსებული რეგულაციები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შინაგანაწესის გაცნობა, როგორც მშობლებისთვის ასევე მოსწავლეებისთვის ხდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებაზე. ასევე, როდესაც მშობელს შემოყავს მოსწავლე სკოლაში აწერს ხელს მშობელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებას, რითაც ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას შექმნილი აქვს Facebook ჯგუფი (სქრინი) "ზერტის საჯარო სკოლა " სადაც მოსწავლეების მშობლებს აქვთ შესაძლებლობა მოსწავლეების უფლებების დაცვის მიზნით პირდაპირ ეკონტაქტონ სკოლის ადმინისტრაციას. აღნიშნულ გვერდს სკოლა ასევე იყენებს საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა ყოველწლიურად აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ვადა ისაზღვრება მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე (მშობელთან ხელშეკრულება, მუხლი 6), ასევე ხელშეკრულების აღნიშნულმა მუხლმა დაარეგულირა ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლები. ხელშეკრულების შინაარსში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონფიდენციალურობის საკითხიც. სექტემბრის თვეში პირველ მშობელთა კრებაზე კიდევ ერთხელ ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში.ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართიები: N1, N13, N41, N42, N43, N44, N45, N46, N47, N48, N49, N50, N51, N53, N54, ნ55, N63, N91, N95, N160

შეფასება:

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს ჩამოყალიბებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, თუმცა სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წეს: შიდასასკოლო დოკუმენტით „სკოლის დებულება“(**მუხლი 10. სკოლაში ჩარიცხვის წესი და მუხლი 11. მოსწავლეთა ამორიცხვა:)** განსაზღვრულია წესები მოსწავლის ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის შესახებ. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანებით “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ”. ითვალისწინებს

კანონში მოცემულ ოპერირების გეგმას და დადგენილი ვადების გათვალისწინებით, ახორციელებს სათანადო მოკვლევასა და რეფერირებას. აღნიშნული კანონი გაზიარებულია კლასის დამრიგებელთათვის ელექტრონულ ფოსტაზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს მოხდა სტატუსის შეჩერების პროცედურების შესახებ მტკიცებულების გამოთხოვა, რაც სკოლამ წარმოადგინა(45 და მეტი დღის გაცდენისათვის მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ დოკუმენტაცია, იხ დანართი) **სასურველია გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით ჩამოეყალიბებინა. აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, პირველკლასელი სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებითა და რეგულაციით, სტატუსის დადგენის შემდეგ მოსწავლე ბრძანების საფუძველზე ირიცხება პირველ კლასში, ხოლო უარყოფის შემთხვევაში, მოსწავლეს უუქმდება რეგისტრაცია და ეტაპის შესაბამისად რეგისტრირდება თავიდან. მობილობის სურვილის შემთხვევაში სკოლა პროცედურების განხორციელებს იწყებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქმისწარმოების წესის დაცვით, ხორციელდება განცხადების განთავსება ელექტრონულ ბაზებში და გამშვები სკოლიდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, პირადი საქმის მიღებისთანავე, ადმინისტრაციის მხრიდან იქმნება ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. საზღვარგარეთიდან მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, სათანადო დოკუმენტაცია და სკოლის მიერ შემუშავებული დასკვნა იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტში. მიღებული თანხმობის შემთხვევაში, საზღვარგარეთ გავლილი საფეხურის აღიარების შემდეგ, სკოლა წერს ჩარიცხვის ბრძანებას. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების წინაპირობაა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. უცხო ენის კათედრის წარმომადგენელები ხვდებიან შესაბამის კლასის მოსწავლეების მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დანერგილი უცხო ენის პროგრამების შესახებ. მშობელი არჩევანს ადასტურებს განცხადებით ან დამრიგებელი წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას სამსახურეობრივ ბარათს, რის საფუძველზეც ხდება უცხო ენების განაყოფების დაკომპლექტება. სასწავლო სასკოლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რაც დატანილია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბი. მათ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია სკოლაში არსებული კათედრები. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების მხრიდან პედაგოგიურ საბჭოზე ხორციელდება იმ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება, რომლის განხორციელება იგეგმება სასწავლო წელს. კათედრები წარადგენენ კლუბის დებულებასა და მუშაობის გეგმას. ინფორმაციის გასაჯაროება ხორციელდება დამრიგებლების მხრიდან მშობელთა კრებებზე, თავსდება საინფორმაციო დაფაზე და აღნიშნულ მომსახურებებში ჩართვა შეუძლია ყველა მოსწავლეს ინტერესისა და შესაძლებლობების მიხედვით. არის უფასო და ხელმისაწვდომია ყველასათვის . სკოლა დამატებითი შემოსავლის მოზიდვის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ქონების სამმართველოს თანხმობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, იჯარით გასცემს ფართებს, რაც უზრუნველყოფს სკოლაში დამატებითი მომსახურეობის განხორციელებას. კერძოდ: მუსიკის წრე, ცეკვის წრე, სასკოლო ბუფეტი. ინფორმაცია დამატებითი მომსახურებების შესახებ გაზიარებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო კვლევები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, თვითმმართველობის საქმიანობა, მშობელთა კლუბის აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია და სკოლა ინფორმაციის გასაჯაროებისათვის იყენებს facebook გვერდს „ზერტის საჯარო სკოლა"; აქ ფუნქციონირებს დახურული საკლასო ჯგუფები(„მესენჯერზე"), რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა ხშირად ახორციელებს მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური

დავალებების პროდუქტების გასაჯაროება. სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, დაინტერესებული პირებთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღონ თავად მოსწავლეებისგან. **აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები: N13 სკოლის დებულება, N30 დანართი მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება და დანართი N1N32 დანართი მშობლებთან ხელშეკრულებაN33 დანართი მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმებიN34 დანართი ბრძანება 2-10 მშობლებთან ურთიერთობის დებულების შესახებN35 დანართი შინაგანაწესი(თავფურცელი)N36 დანართი.შინაგანაწესიN50 დანართი ბავშვთა დაცვაN73 დანართი ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებN75 დანართი ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებაN76 დანართი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმიN77 დანართი ისგ სხდომის ოქმიN78 დანართი მოსწავლის ისგN79 საფეხურის დაძლევის ბრძანებაN80 დანართი სტატუსის შეჩერების ბრძანებაN81 დანართი მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებაN82 დანართი მოსწავლის ამორიცხვის ბრძანებაN83 დანართი ბრძანება მშობლებთამ ურთიერთობის დებულების დამტკიცებაN84 დანართი ბრძანება პერსონალურ მონაცემთა გდაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებN85 დანართი დამტკიცებული სასკ.სასწ.გეგმაN86 დანართი სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023N86 დანართი სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით: სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა ემზადება მოსწავლეთა დასახვედრად. მოსწავლის ტრანზიციის შესახებ მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები და მიღებული გამოცდილება გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სპეციალური მასწავლებლები დამატებით მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან, თანამშრომლობენ რეაბილიტაცია/აბილიტაციის ცენტრებთან, აქტიურად ხდება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები და ურიგდებათ სამახსოვრო საჩუქრები. ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა.

სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოსათან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური მასწავლებლები უკავშირდებიან სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტებს, ფსიქოლოგებს და იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რა უნდა გაითვალისწინონ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვის ადაპტაციას სასკოლო გარემოში. ამ მიმართულებით მუშაობენ ასევე მანდატურები, რომლებიც მუშაობენ რთული ქცევის მოზარდებთან და საჭირო შემთხვევაში იყენებენ მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის მომსახურებას. სასკოლო დოკუმენტებში ვერ ამოვიკითხეთ მობილობით გადმოსული მოსწავლეების ახალ სასწავლოგარემოსთან უკეთ შეგუებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური უნდა იყოს სკოლისათვის, რადგან ყოველ წელიწადს კვარხითის კორპუსიდა მე-5 კლასში გადმოდიან მოსწავლეები, რომლებიც განსხვავებულ გარემოში ხვდებიან და საჭიროებენ ადაპტაციას. თუმცა დირექტორთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა რომ კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თანაკლასელებს, კლასის მასწავლებლებს, თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს,, უზრუნელყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. **სასურველია რომ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი ცალკე და უფრო სრულყოფილ დოკუმენტად ჩამოყალიბდეს და მასში აისახოს არა მარტო სსსმ და პირველკლასელი, მობილობით გადმოსული, ენობრივი ბარიერის მქონე არამედ ის მოზარდები, რომელთაც აქვს სასკოლო გარემოსთან შეგუების პრობლემა.**

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა არის სრულად რეაბილიტირებული. სკოლას აქვს ადაპტირებული შესასვლელი, საპირფარეშოები. რესურს ოთახი მოწყობილია არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით (ადაპტირებული ავეჯი, დასასვენებელი სივრცე, რესურსები, ტექნიკური აღჭურვა და ა.შ) სკოლაში გამოიყენება მოსწავლის ასაკის შესაბამისის ავეჯი. არსებობს სამკითხველო სივრცეები, ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, კაბინეტები. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ სპეციალური მასწავლებელი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს და Teams-ის პლატფორმას. სკოლა პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში „ იყო ჩართული და ახალი ესგ-ს შესაბამისად მასწავლებლები ყოველი კომპლექსური დავალების შესრულებისას აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს ყველა მოსწავლეს. პედაგოგები კონსულტაციას უწევენ მოსწავლეებს სემესტრული, წლიური და ექსტერნის გამოცდების წინ. სკოლის პედაგოგებს აქვთ პრაქტიკა იმუშაონ მოსწავლესთან ერთად „კვირის გეგმაზე“

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა . ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე/ მშობელი/კან. წარმომადგენელი. დირექტორის ბრძანების თანახმად, მასწავლებელი ატარებს შესაბამის საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ. სკოლაში ყოველწლიურად იმართება სემესტრული (ნიშნის ასამაღლებელი) და წლიური გამოცდები სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდებზე რეგისტრაციის წესი, ჩატარების ვადები/პირობები. სასკოლოს სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, ასევე დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლაში არსებობს შინ სწავლების პრაქტიკა. მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, დირექტორის ბრძანებით იქმნება ჯგუფი, რომლის ფარგლებში გაწერილია საგნის მასწავლებლის და დამრიგებლის ვალდებულებები.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5.სკოლას ჰყავს მაღალპროფესიული კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს არაფორმალური სასწავლო აქტივობების საშუალებით მოსწავლეთა წახალისებას. სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. ამ კუთხით 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბები(ეკოკლუბი, მუსიკის კლუბი,სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვ) ხორციელდება პროექტები, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი

აქტივობები. ადმინისტრაცია ახალისებს მათ ინიციატივებს. ტრადიციულად, სკოლის თვითმართველობა აწყობს საახალწლო კარნავალს, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებლები/მშობლები.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6.მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. ამის დასტურია მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ წამოყენებული ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელებაში დახმარება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი : N30 დანართი მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება და დანართი N1N32 დანართი მშობლებთან ხელშეკრულებაN33 დანართი მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმებიN87 დანართი შინ სწავლებაN88 დანართი ტაბელი დასკანერებულიN89 დანართი ზერტი ტრანსპორტი -N90 დანართი წლიური გამოცდები 7-10 კლასიN91 დაN94 დანართი დირექციის მიერ დამრიგებლის შეფასება და კომენტარინართი დამრიგებლის პორტფ. ცირა ტერტერაშვილიN93 სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეთა ჩართვის დამდასტ. ფოტოებიN95 დანართი სადამრიგებლო პროგრამაN97 დანართი პირველკლასელთ დახასიათებებიN98 დანართი მშობელთა კრების ოქმიN99 მოსწავლეთა კლუბის -ეკოკომიტეტის სხდომის ოქმიN100 დანართი არაფორმალური განათლება- შეხვედრა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ოქმიN101 დანართი კლასის სადამრიგ.ანგარიშიN102 დანართი კვირის-გეგმაN103 დანართი პროექტი ,,გაერთე და გაფრთხილდი!" ეკატერინე ინაური (3) N104 დანართი სასკოლო ლიტერატურული კლუბი ფენიქსიN105 დანართი ექსტერნის გრაფიკი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებაN106 დანართი უცხო ენის არჩევის ოქმი

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, ყოველწლიურად ტარდება პროფორიენტაციის გაკვეთილები მე-9 და მე-11 კლასებში, სკოლა გეგმავს და ახორციელებს ვიზიტებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში(მაგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი(თსუ), სახელმწიფო ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)) ასევე მასპინძლობს სხვადასხვა კოლეჯების და დაწესებულებების წარმომადგენლებს,უწყებებს რომლებიც აცნობენ მოზარდებს იმ შესაძლებლობებს, რასაც მათი სასწავლებლები თავაზობენ. მაგ. სკოლაში მოეწყო შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს მოსწავლეებს ქართული ჯარის შესახებ ინფორმაცია. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიზნით სკოლის აორგანიზებს შეხვედრებს სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სწავლობენ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი მიმოიხილავენ იმ პროფესიების და პროგრამების მახასიათებლებს, რომელსაც თვითონ ეუფლებიან.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები, სკოლის facebook გვერდზე ინფორმაციის განთავსება . სკოლაში სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ ვიზიტს, სადაც იწვევენ მოსწავლეების გარდა მშობლებსაც. გადასცემენ მათ საინფორმაციო ბროშურებს და პროფესიების ჩამონათვალს რასაც სთავაზობს მათ აღნიშნული სასწავლებელი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ

მოსწავლეები დასახულ მიზანებს, აბარებენ წარმატებით მისაღებ გამოცდებს, არიან წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება შეიმუშაონ კითხვარი რომლის საფუძველზე სკოლა გამოიკვლევს დაეხმარა თუ არა სკოლის მიერ გაწეული მომსახურება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით მომავალი პროფესიის არჩევაში და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N171 დანართი-სკოლაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტუმრობა-ფოტოებიN172 დანართი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიN173 დანართი პროფორიენტაცია და არაფორმალური განათლება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რაც დასტურდება შემდეგით: სკოლაში ერთი სპეციალური მასწავლებელია. შერჩეულია კონკურსის სახით. გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები (სპეც მასწავლებელთა 120 საათიანი ტრენინგი, მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული 16 საათიანი ტრენინგი), მინიჭებული აქვს სპეციალური უფროსი მასწავლებლის სტატუსი. აქვს პედაგოგიური პრაქტიკა და გამოცდილება. მას შეფასებული ყავს თითოეული სსსმ მოსწვლე და კარგად იცნობს მათ შესძლებლობებსა და საჭიროებებს. აქტიურად არის ჩართული მათი სწავლა - სწავლების პროცესში. ყველა მოსწავლის ისგ გეგმის შედგენაში. საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციებს, როგორ დაე და განეხორციელონ მიზნები. კლასის დამრიგებელთან ერთად თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეების სწავლა- სწავლების

პროცესს. სირთულეების შემთხვევაში კონკრეტულ რჩევებს აძლევდა მასწავლებლებს. აქვს კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა და სამუშაო მიმართულება. რთული ქცევის გამოვლენისას შემთხვევისათვის შემუშავებული აქვს ჩარევის გეგმა, სკოლის სპეციალური მასწავლებელი და პირველი კლასის დამრიგებელი აკვირდებიან მოსწავლეებს, ხომ არ აქვთ რაიმე სპეციალური საჭიროება, გამოვლენის შემთხვევაში მიმართავენ მშობელს და მისი თანხმობით ადგენენ მიმართვის ფორმას მულტიდისციპლინური გუნდისადმი. აგრეთვე, სხვა კლასებში მოსწავლის სპეციალური საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში სკოლის დირექცია ორგანიზებას უწევს მოსწავლის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის), სპეცმასწავლებლის, დირექციისა და დამრიგებლის შეხვედრას. მიმართვის მიღების შემდეგ ათი სამუშაო დღის განმავლობაში სპეცმასწავლებელი დამრიგებელთან ერთად აფასებს მოსწავლის მოტორულ, კოგნიტურ, ფსიქოემოციურ, აკადემიურ, სოციალურ, ქცევით, ფუნქციურ უნარებს და მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, თუ მოსწავლე ერთი-ორი თვის განმავლობაში ვერ ძლევს ესგ-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სკოლის დირექტორი მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს მოსწავლის შეფასების მიზნით. მოსწავლის შეფასების შემდეგ სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება თითოეული მოსწავლისთვის ისგ ჯგუფი, შემუშავდება ყოველი მოსწავლისათვის ისგ. სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ მაინც იკრიბება ისგ ჯგუფი, განიხილავს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, შუალედურად აფასებს, აზუსტებს ისგ-ს, წლის ბოლოს აკეთებს საბოლოო შეფასებას; სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აკეთებს შიდა მონიტორინგს ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც(იხ. დანართი). მონიტორინგის ჩატარების შემდეგ დგება მონიტორინგის დასკვნა, რომელიც ეგზავნება სამინისტროს არაუგვიანეს შვიდი დღისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლაში ირიცხება 5 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში შემუშავებულია ინდივიდუალური

სასწავლო გეგმა. სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, ასევე შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი,(N74) რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. აღნიშნულ მოსწავლეთა მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან სპეცმასწავლებელთან, რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების ადაპტირება. ურთიერთთანამშრომლობით დგება კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვარიანტი,რომლის შედეგების ანალიზს ეფუძნება შესაბამისი ცვლილებები. ინდ. გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა, როგორც საგნის მაწავლებლები, ასევე, სპეცმასწავლებელი, დირექცია და მშობელი.

ასევე, მათი თანაკლასელები. კეთდება მოსწავლის მიღწევების შუალედური და საბოლოო შეფასება, რომელთა დაყრდნობითაც ინდ გეგმის ცვლილება/რევიზია/დაზუსტება ხდება.სპეციალური და საგნის მასწავლებლების მხრიდან ხორციელდება არაფორმალური აქტივობები (ფილმის ჩვენება, დისკუსია, ნახატების შექმნა და ა.შ), რომლებშიც ჩართულნი არიან სსსმ მოსწავლეები. სპეციალური მასწვალებლები სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების ხელშესაწყობად ახორციელებენ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, როგოც მოსწავლეებთან (დაუნის სინდრომისა და აუტიზმის დღისადმი მიძღვნილი), ასევე მშობლებთან..

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N50 დანართი ბავშვთა დაცვა, დანართი №97 პირველკასელთა დახასიათებები, დანართი №37 პედსაბჭოს ოქმი ისგ-ის დამტკიცების შესახებ, დანართი №27 ინდ გეგმის ნიმუში, დანართი №74 ისგ შიდა მონიტორინგის დასკვნა, დანართი №75ისგ ჯგუფის შესახებ ბრძანება, დანართი №76 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი, დანართი №77 ისგ ჯგუფის

სხდომის ოქმი, დანართი №78 მოსწავლის ისგN109 დანართი პედსაბჭოს ოქმი ისგ.გეგმის დამტკიცება, დანართი №121 ადაპტირებული კომპლექსური დავალება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სთვაზობს 2კმ-ზე მეტ მანძილით დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. სულ ხორციელდება 2 მარშრუტი „სოფელი კვარხეთი -ზერტის საჯარო სკოლა“ და „სოფელი კირბალი-ზერტის საჯარო სკოლა“. ამ მომსახურებას ეწევა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელსაც გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან უფორმდება ხელშეკრულება. (იხ. დანართი ტრანსპორტირების ტაბელი). ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობს სულ 36 მოსწავლე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, სკოლამ წარმოადგინა 17 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის დოკუმენტაცია. სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკალური და ცეკვის წრე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.მუსიკალური და ქორეოგრაფიული წრის ფუნქციონირება ხორციელდება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად სერვისი მიწოდებულია მეიჯარის მიერ და სკოლას არ დებს შესაბამის ხელშეკრულებს, მაგრამ მომსახურეობა. ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი კლუბებისა და მომსახურების განხორციელების შესახებ საინფორმაციო რეკლამებით, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს ეძლევა საშუალება ბავშვის პრიორიტეტის მიხედვით აირჩიონ სასურველი მიმართულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების სერვისების განმხორციელებელი პირები დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ადასტურებენ, რომ ითვალისწინებენ უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. საიჯარო ხელშეკრულების “მეიჯარეს უფლება აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ ირღვევა ბავშვთა უსაფრთხოებასთან და უფლებებთან დაკავშირებული რეგულაციები(იჯარის ხელშეკრულებამუხლი 3.1.3, 3.1.5 დანართი N107)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N50 დანართი ბავშვთა დაცვა N74 დანართი ისგ შიდა მონიტორინგის დასკვნა N75 დანართი ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება N76 დანართი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი N77 დანართი ისგ სხდომის ოქმი N78 დანართი მოსწავლის ისგ N87 დანართი შინ სწავლება N88 დანართი ტაბელი დასკანერებული N89 დანართი ზერტი ტრანსპორტი - N107 დანართი იჯარის(ბუფეტი) დოკუმენტები N109 დანართი ჰედსაბჭოს ოქმი ისგ.გეგმის დამტკიცება N121 დანართი ადაპტირებული-კომპლექსური-დავალება (ნამუშევირთ) დაწყებითი საფეხური

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი-,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია", წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს, მასში დეტალურად არის გაწერილი როგორც ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი (უზრუნველყოფილია მთლიანად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა), ასევე დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებიც.

ინტერვიუს დროს სკოლამ განაცხადა, რომ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის" დოკუმენტს დაამტკიცებს სასკოლო კურიკულუმთან ერთად სასწავლო წლის დაწყებამდე. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მხრივ კათედრას აქვს შემდეგი პრაქტიკა: მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის გათვალისწინება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. შემდგომ კურიკულუმის პროექტი გადაეგზავნება დირექციას და, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ბოლოს კი დასამტკიცებლად- პედაგოგიურ საბჭოს. სკოლის მიერ დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულების თანახმად", სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც

მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები, გარდა აკადემიური მოსწრებისა. , ასევე „მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში."

ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია" ინდიკატორი შეესაბამება

2.სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი- „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია", თუმცა წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს. სკოლა აცხადებს, რომ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას" დაამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმის /წლიური პროგრამის აგების პრინციპები და ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ

მასწავლებლის როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის დაგეგმვასა და განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები, სასწავლო პროცესის ანალიზი და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული კვლევები... **მოსწავლე-** სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირსა და მის გამოცდილებას, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი როლი სასწავლო პროცესის როგორც ადმინისტრირების, ასევე შინაარსობრივი მხარდაჭერით და პროცესების მიზნობრივი მართვით გამოიხატება.

მშობლის როლი ამ ეტაპზე შემოიფარგლება სხვდასხვა პროექტსა და ღონისძიებებში ჩართულობით, ერთობლივი საქველმოქმედო, საინფორმაციო, შემეცნებითი და სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობით. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, ინდიკატორი შეესაბამება**

3.კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის დირექცია... მასწავლებლები განხორციელებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ერთობლივად ადგენენ ახალ კურიკულუმს. პროცესში უზიარებენ ინფორმაციას კოლეგებს მიღწევებთან ან პრობლემებთან დაკავშირებით, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, აცნობენ ერთმანეთს შემუშავებულ მატრიცებს, ერთად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ კომპლექსურ დავალებებს... კათედრის თავმჯდომარე არის ორგანიზატორი, რომელიც აგროვებს მასალებს, ათანხმებს და უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. მშობლებს და მოსწავლეებს მიეწოდებათ კომპლექსური დავალების ბარათები. სასწავლო წლის ბოლოს მშობლებთან შეხვედრაზე განიხილება საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების საკითხი.

ინდიკატორი შეესაბამება

4.კურიკულუმის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოებვის ჩართულობა ქმნის მიკუთვნებულობის განცდას. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის სოციალური გვერდი, თიმსიში შექმნილი ჯგუფები და საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. **დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი**
2. **დანართი №20 - სასკოლო სასწავლო გეგმა**
3. **დანართი№4- „სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“(პროექტი)**
4. **დანართი№15 - სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა**
5. **დანართი-№29 მე-4ა და მე-4ბ კლასების გაერთიანებული მშობელთა კრების ოქმი**
6. **დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები**
7. **დანართი№131-დაწყებითი სწავლების კათედრის ოქმი**
8. **დანართი №147 -საგნობრივი ოქმები დაწყებით საფეხურზე**
9. **დანართი №157-შედეგების ანალიზი**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.

სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის რამდენიმე დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად, ბუნების სურათები, ბავშვი მოთხრობებში, თანაგრძნობა და სინანული, მშობლიური კულტურა - ის კონტექსტებია, რომლებზე მსჯელობაც მოსწავლეს პირადი გამოცდილების საფუძველზეც შეუძლია). პირველ ეტაპზე კათედრას სრულად არ წარმოუდგენია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, ვიზიტის შემდგომ შეავსო. რამდენიმე თემის ფარგლებში ნაჩვენებია, როგორ მიემართება კათედრის მიერ შერჩეული დავალებები საფეხურის სამიზნე ცნებებს. გასაუბრების საფუძველზე შეიძლება, დაისკვნას, რომ მასწავლებლები აანალიზებენ, რა საგნობრივ ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებებით(მოთხრობის ეპიზოდის დაწერა, მკითხველის წერილი ბუნებისადმი გულგრილ ადამიანს). წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, შეიმუშავოს კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება

მათემატიკა

დაწყებითი საფეხური

1.დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ანალიზისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტში განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია, აგრეთვე, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით.

გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რაც ჩაშენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილია ინდ.სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები...ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი ბუნების კურიკულუმის ჩარჩოში თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მკაფიოდაა განსაზღვრული დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სწორედ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთგანხილვა და საბოლოო შეჯერება. გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ასევე - ინდივიდუალური საჭიროებები, რაც ჩანს შესწავლილი

დოკუმენტებიდან. როგორც არსებული მასალების საფუძველზე , ასევე ინტერვიუს შედეგად საბუნებისმეტყველო კათედრასთან. ვფიქრობ, რომ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა, არსობრივი მახასიათებლები და კურიკულუმების აგების პრინციპები.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

1.უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო- გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით. კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესები და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. შუალედური მიზნები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრა გეგმავს 2022-23 წლის გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

1.დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკისა და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებასა და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტსა და მეთოდიკურ ორიენტირების მოთხოვნებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;

სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, როცა მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ეს ყველაფერი ასახულია საგნობრივ კურიკულუმში, ინდუალურ-სასწავლო გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებებსა და მასწავლებელთა რეფლექსიებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .სკოლაში ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.2.2.

სახელმწიფო ენა

დაწყებითი საფეხური

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ-მაგალითები. მაგალითად, თემა ,,ბუნების სურათები" და ამავე თემის ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები მოსწავლეს ჩამოუყალიბებს ზრუნვა-მოფრთხილების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარს. კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას მოითხოვს იმ პროდუქტების შესრულება, რომლებიც დაგეგმილია კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით (მაგალითად, მოთხრობის ეპიზოდის დაწერა). საკომუნიკაციო ჩვევებს ავითარებს საბოლოო პროდუქტის წარდგენის ეტაპი და ა.შ. თავად კათედრის წევრების დამოკიდებულებით, ლიტერატურის სწავლება თავისთავად გულისხმობს ისეთი თემების შემოტანას სასწავლო პროცესში, რომლებიც ზესაგნობრივ საკითხებზე აფიქრებს მოსწავლეს. მათი სასწავლო გამოცდილების მიხედვით, ეს ხდება მაშინ, როცა მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული პირადი გამოცდილების გაზიარებას სთხოვენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

მათემატიკა

2. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა V კლასის კურიკულუმი,რომელშიც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები/ქვეცნებები. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით ყველა თემის ფარგლებში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს I-IV,VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოების სამუშაო ვერსიები რომლებშიც

ასევე იკითხება შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. სანიმუშოდ თითოეული კლასის ჩარჩოს ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი და შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V-VIკლ) შეფასების რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. განხილვისას ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათემატიკის პედაგოგებს შესწევთ უნარი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან.

ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები

ინდიკატორი შესაბამისობაშია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2.სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. კურიკულუმი და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, ფორმალური და არაფორმალური (სკოლაში ფუნქციონირებს ეკო-კლუბი, ეკო კომიტეტი) აქტივობები მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ორიენტირებულია გლობალურ, ფუქნციური კომპონენტური უნარების განვითარებისაკენ. ჩანს შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის მექანიზმებს შორის. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.კლუბი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას: პროექტი „მწვანე მომავალი“, რომელიც გამოიკვეთა კათედრაზე ინტერვიუს პროცესში და ასევე ბიოლოგიის მასწავლებლის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე.

ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება, შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

2. ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია თემები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. შერჩეულია კონტექსტმაგალითები. კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების. ინტერვიუს დროს ინგლისური ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მე-4კლასის სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი „პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: „ჩემი დღის განრიგი“ მოსწავლეებს განუვითარებთ კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარებს.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

2.მუსიკის საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეა. კურიკულუმი მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს: წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოებში გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად;

ჩანს, რომ კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვს კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც განაპირობებს 6 გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. ახალი სასწავლო წლისათვის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილია სწავლების მიზნები, თუმცა ამ ეტაპისათვის კურიკულუმი იხვეწება ახალი სასწავლი წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

სპორტი და ფიზიკური აღზრდა

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებებსა და შედეგებს;

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.2.3.

სახელმწიფო ენა

3. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს ერთი ფაქტორი: სასწავლო თემებისა და ტექსტების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ დიფერენცირების სხვადასხვა ფორმას მიმართავენ: საჭიროებიდან

გამომდინარე, ამარტივებენ აქტივობის ინსტრუქციას, ახანგრძლივებენ აქტივობისთვის განკუთვნილ დროს, ჯგუფებში ანაწილებენ სხვადასხვა სირთულის დავალებას, სვამენ სხვადასხვა დონის შეკითხვებს; მეთოდებიდან დაასახელეს შესასავლელი და გასასვლელი ბილეთები, სასწავლო მენიუ. ამ ეტაპზე, როცა კურიკულუმის ჩარჩოში მხოლოდ სასწავლო თემები, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები და რამდენიმე კომპლექსური დავალებაა მოცემული, ბუნებრივია, არ ჩანს, დიფერენცირების რა მიდგომებს გამოიყენებს სკოლა, თუმცა საეტაპო აქტივობებში წარმოჩინდება. მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სწავლების პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას.

ინდიკატორი შეესაბამება

მათემატიკა

3. კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს.სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომდაწყებითების კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით,რომელსაც დამოუკიდებელი სამუშაოებითა და სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ, ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები და ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას .

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. წარმოდგენილი აქვთ მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საშუალებას იძლევა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების მიღწევის. შეფასების კრიტერიუმების ჩარჩო მორგებულია მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს.I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები რაც კათედრის დოკუმენტების შესწავლისას გამოჩნდა. (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ექსპერიმენტის) . პირველი, მეორე კლასისთვის წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესს ხდის მეტად სახალისოსა და საინტერესოს. აღსანისნავია, რომ I-II-კლასის კურიკულუმებში სკოლას ჯერჯერობით შერჩეული არ აქვს კომპლექსური დავალებები, რადგან სახელმზღვანელო ახლახანს შეარჩიეს, თუმცაღა სწავლის დაწყებამდე გეგმავენ კათედრაზე შეირჩეს განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. .

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

3. საგნობრივ კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მორგებულია მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალებს, რაც ხელს უწყობს რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

მასწავლებლები კარგად იცნობენ საკუთარი მოსწავლეების სწავლის სტილს, შესაძლებლობებს და საჭიროებისამებრ სთავაზობენ მათ ადაპტირებულ დავალებებს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილია, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

3. დოკუმენტებზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის მხრიდან სასწავლო პროცესში ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება არ ხდება, რადგან ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ამის საჭიროებას. თუმცა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობაზე ხდება თითოეული კომპლექსური დავალების მორგება. სკოლა საგნობრივ კურიკულუმში მოახდენს ფოკუსირებას სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებსა და საფეხურის საკვანძო შეკითხვებზე, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აცხადებს, რომ ჰყავს სხვადასხვა მზაობის და ინტერესების მქონე მოსწავლეები. მასწავლებელი აკვირდება თუ როგორ იგებენ მოსწავლეები მათთვის მიცემულ დავალებებს და სამომავლო სწავლების დასახვის მიზნებიდან გამომდინარე ხდება მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, დაწყებითი საფეხურიის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა იყენებს სხვადასხვა პორტალზე განთავსებულ ტესტებს, რომელთა საშუალებითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებენ აქტივობებს სწავლების დიფერენცირებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება

სპორტი და ფიზიკური აღზრდა

3. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი შესაბამისია

ინდიკატორი შეესაბამება

2.1.2.4

სახელმწიფო ენა

4.სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც დავალების მოთხოვნებსა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირი თვალსაჩინოა. მასწავლებლებმა ახსნეს, როგორ მიემართება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს ის კონკრეტული ცოდნა, რომელსაც დავალების პირობით მოითხოვენ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ერთი მიმდინარე დავალებისთვის, მკაფიოა სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან კავშირი. ბუნებრივია, ამ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ თითოეული სასწავლო თემისთვის სრულყოფილად არ აქვთ განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს გამოიყენებენ სამიზნე ცნებების გასააქტიურებლად, ვერ იქნება წარმოდგენილი ყველა შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა

უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები.

ინდიკატორი შესაბამისია

მათემატიკა

4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (I-IV, V-კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასება, V-კლასის მეორე სემესტრში და VI კლასებში როგორც განმსაზღვრელი, ასევე გამავითარებელი). შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა: სწავლება და შეფასება არის განუყოფელი ნაწილი, გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას.ხშირად იყენებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, მოსწავლის პროგრესსა და პროცესზე ორიენტირებულ კომენტარს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალება შესაბამისი სოლო რუბრიკით.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კათედრაზე წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები . რომელიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და უკუკავშირს მათზე დაყრდნობით

იძლევა. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა აწარმოებს შეფასებას (მე-5 და მე-6 კლასებისთვის დაწყებით საფეხურზე) სხვადსხვა განმსაზღვრელი რუბრიკების საშუალებით რაც კათედრის დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოჩნდა. მაგ. საკლასო შეფასება, გაკვეთილში ჩართულობა და სხვ.დაწყებით საფეხურზე ძირითადად ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება. ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, სამიზნე ცნებებზე და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული რუბრიკების საფუძველზე. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სასწავლო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

4. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან . განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუდან დაზუსტებელია, რომ მასწავლებელი იცნობს და იყენებს შეფასების სხვადასხვა რუბრიკებს, აქვს ჩატარებული ვიზუალური პროგრამირების გარემო scratch - ში შექმნილი მარტივი ანიმაცია, რომელიც შეფასებული აქვს სოლო ტაქსონომიით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება

სპორტი და ფიზიკური აღზრდა

4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.

ინდიკატორი შეესაბამება

2.1.2.5.

სახელმწიფო ენა

5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სახელმწიფო ენის კათედრამ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში პირველ ეტაპზე შეიტანა მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. მასწავლებლების განმარტებით, სწორედ წინარე გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

ინდიკატორი შეესაბამება

მათემატიკა

5. დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კლასების მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა

შედეგებს და წერენ შემაჯამებელ განმავითარებელ კომენტარებს, რომელსაც უზიარებენ მშობლებს, კათედრის წევრებს, დირექციას. საბოლოოდ მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, ნაცნობიდან უცნობისაკენ მიმართება, რაც ასახულია კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში, როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს გამოცდილება და ამ გამოცდილების საფუძველზე შეიტანეს ცვლილება. კათედრას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა თვითრეფლექსიები სადაც ჩანს მათი გამოცდილების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

5. მოწოდებულ დოკუმენტაციში და ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ახდენენ ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, უკუკავშირს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა მომავლი წლიდან დიდ ყურადღებას დაუთმობენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის გადამუშავება, რევიზია.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

5. წინარე გამოხდილებაზე დაწყრდნობით სკოლა მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, გამოიკვეთება შესაძლებლობები. ეს ანალიზი საფუძვლად ედება სკოლის კურიკულუმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით; მაგალითად მასწავლებელი ასახელებს კათედრებთან შეთანხმებულ თანამშრომლობას.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს რომ დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და სხვა. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორი შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

3. დანართი №145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

4. დანართი№165 ავტორიხაციის განაცხადი

5. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა
6. დანართი№27 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
7. დანართი№-147 კათედრის სხდომის ოქმები

8. დანართი №75 ისგ ჯგუფის ბრძანება
9. დანართი № 118 სოლო ტაქსონომია
10. დანართი №153 სასწავლო პროექტი

11. დანართი №154 შესრულებული კომპლექსური დავალებები
12. დანართი №155 განმავითარებელი შეფასება
13. დანართი №156 განმსაზღვრელი შეფასება
14. დანართი№121 ადაპტირებული კომპლექსური დავალება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.

სახელმწიფო ენა

1. მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას მასწავლებლები უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და კომპლექსური ბუნების დავალებებით. ამ ეტაპზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, მაგალითად, ა.სულაკაურის მოთხრობის ,,ბიჭი და ძაღლის" ახალი ეპიზოდის დაწერა. პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. იგეგმება კურიკულუმის შევსება სწორედ ამ ტიპის დავალებებითა და აქტივობებით. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება.

ინდიკატორი შესაბამისია

მათემატიკა

1.I-VI კლასების მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, გამოთქვამენ ვარაუდებს, რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ

საერთაშორისო პროექტებში,სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას. შესაბამსად შეგვიძლია დავასკვნათ, **რომ ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს,ქმნიან სხვადასხვა ვარიაციებს. რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ეკო კომიტეტი, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში,სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

1. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმების ჩარჩოში კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას, მაგ., დიორამას პრეზენტაცია თემაზე: „ზღაპრის გმირები“, ვიდეორგოლი თემაზე „ჩემი საყვარელი კერძი“ და სხვა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე სხვადასხვა ჟანრის დიდაქტიზებული ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგების გზით

მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას; მონაწილეობას იღებს ინტერაქციაში, ეცნობა ახალ ინფორმაციას სამიზნე ქვეყნის შესახებ, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში; უბიძგებს მოსწავლეს მიზნობრივად დაგეგმოს ქმედებები და გადმოსცემს საკუთარი ვერსია თავისი სიტყვებით ზეპირი პრეზენტაციის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმენზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა, შესაბამისად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში არის გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც გათვლილია მოსწავლის ასაკის შესაბამისად, რაც იძლევა, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.მასწავლებლებთან გასაუბრებაზე და მათ მიერ განხორციელებეული კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. დაფუძნებულია

სწავლა-სწავლების 5 პრინციპზე, ამ პრინციპების გათვალისწინებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლებას. გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც ასაკის შესაბამისად. იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებებს, სასკოლო პროექტებს, საკლუბო აქტივობებს და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. 1-6 კლასის დაწყებით საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც დაწყებით საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. 2.1.2.

სახელმწიფო ენა

2. სახელმწიფო ენის დაწყებით საფეხურზე დაცულია ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი- მოსწავლეთა წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგება, რაც დასტურდება იმით, რომ სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლეთათავის ნაცნობ კონტექსტებთან, იმასთან, რაც ხშირად მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგალითად, თავის დამკვიდრება ოჯახსა და სკოლაში, ურთიერთობა მშობლებსა და თანატოლებთან. გარდა ამისა, როგორც კათედრის წევრები აღნიშნავენ, ცდილობენ, ყოველი ახალი თემა და საკითხი დაიწყონ წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებით. მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

2. მათემატიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში თემები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ მიემართება მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მე-5 კლასში ბუნებისმეტყველებაში „ტექტონიკური ფილების რუკა“ და „ გეოლოგიური კონფერენცია“, სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2. სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები ადასტურებს იმას, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თემატური დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რაც ეხმარება მას ახალი ინფორმაცია დააკავშიროს წინარე ცოდნასთან, დაამუშავოს და გადაიტანოს შეძენილ ცოდნაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მე-5 კლასში რუსულ ენაში განხორციელებულ

კომპლექსურ დავალებაზე „ჩემი საყვარელი ზღაპრის გმირის სახლი“. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა მოახერხეს სხვა საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მუსიკა) მიღებული ცოდნის ინტეგრირება და შექმნეს საინტერესო პროდუქტი. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი საგან მუსიკასა და ხელოვნებაში , აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგადჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მუსიკის საგანში განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. ჩანს, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ: კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების პროცესი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების უწყვეტ გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი

ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რათა მოსწავლემ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

ინდიკატორი შესაბამისია

2.2.1.3.

სახელმწიფო ენა

3. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ტექსტების დამუშავების ეტაპზე სისტემატურად სვამენ ამგვარ შეკითხვებს: როგორ ამოიცანი მთავარი სათქმელი? რაში დაგეხმარა ტექსტის ეს მინიშნება? რა ცოდნა გამოიყენე ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურის დასაცავად? ... მსგავსი შინაარსის კითხვები ნამდვილად უბიძგებს მოსწავლეებს მეტაკოგნიტური ფიქრისკენ, თავისი წარმატებისა და ხარვეზების გაანალიზებისკენ. დაასახლეს სტრატეგია 3,2,1, როგორც მოსწავლის თვითშეფასების საშუალება. აცნობიერებენ, რომ მეტაკოგნიტური უნარის გასავითარებლად საჭიროა, სისტემატური და მკაფიო განმავითარებელი უკუკავშირის გაცემა.

ინდიკატორი შესაბამისია

მათემატიკა

3. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ-პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

3. მასწავლებლები კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას

მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შეძენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, ხაზგასმა ხდება თემატური გეგმების მნიშვნელობაზე და კომპლექსურის ბუნების დავალებებით მუშაობაზე-ნაცნობი კონტექსტის შეტანაზე, ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებით, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე მახვილდება ყურადღება. მასწავლებელთან საუბრით დასტურდება, რომ ყოველთვის ხდება მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში. სწავლის სწავლა ჩანს

მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, თანატოლთა შეფასებებში, თვითშეფასების რუბრიკებსა თუ კომპლექსური დავალების პრეზენტაციაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.1.4.

სახელმწიფო ენა

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და კათედრასთან გასაუბრების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურდება ცოდნის სამივე კატეგორია(დეკლარაციული, პირობისეული, პროცედურული), რაც დასტურდება იმით, რომ საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. დავალების შინაარსი და განხორციელების სხვადასხვა ეტაპი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები სწავლობენ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ დეტალებს, იყენებენ ამ ცოდნას დავალების მოთხოვნების შესაბამისად, აცნობიერებენ იმ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც დააკმაყოფილეს დავალების კრიტერიუმები. კათედრის წევრების აღნიშვნით, სასწავლო პროცესში შეკითხვების, კოგნიტური სქემების, შემოქმედებითი პროდუქტების საშუალებით ააქტიურებენ ცოდნის სამივე კატეგორიას. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი I-VI კლასების მატემატიკის კურიკულუმში მიზნობრივად დაგეგმილი ასეთი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში საფეხურზე მიზნობრივად დაგეგმილი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

4. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას უწყობს ხელს. მე-5 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში პირველი იუნიტი "New country, new school, new friends"ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხს სახელმძღვანელოდან, დამატებით წყაროებიდან, გამოყენებულია ელექტრონული რესურსი, მუშავდება ქვესაკითხები ერთმანეთთან კორელაციაში, რაც იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში, კერძოდ უცხოელი მეგობრის პროფილის აღწერას და პრეზენტაციას. ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ ძირითად გამოწვევად მაინც

რჩება ცოდნის მესამე კატეგორია - პირობისეული ცოდნის დამუშავება და გამომჟღავნება, რადგან უკავშირდება მაღალ სააზროვნო უნარებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმობა პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას. მასწავლებლები გეგმავენ პროექტული ტიპის დავალებების შექმნას კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით და მათ დანერგავს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. დაწყებითი საფეხურზე ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მონაწილეობა საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. პროექტებში და კლასგარეშე აქტივობები მსჯელობის, რეფლექსიის და ანალიზის უნარის გამოყენება ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4. კურიკულუმის ჩარჩოებში გათვლილია კომპლექსური დავალებები, რაც ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამ დავალებებისა და აქტივობების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის მაგალითი არის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას. ისინი კომპლექსური დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია და სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

2.2.1.5.

სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. მაგალითად, ერთ-ერთი პირობის მიხედვით, მოსწავლემ არჩილ სულაკაურის მოთხრობის მიხედვით უნდა შექმნას ახალი ეპიზოდი, ამისთვის მან უნდა გაანალიზოს ტექსტის თემა და სათქმელი, პერსონაჟების შინაგანი მახასიათებლები, მათი მეტყველების მანერა, თხრობითი ტექსტის სტრუქტურა, ეპიზოდის, როგორც კომპოზიციური ელემენტის არსი - ამ ცოდნათა დაკავშირებით უნდა შექმნას ახალი პროდუქტი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელოების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

5. უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები, სადამრიგებლო პროგრამას ადგენენ საგნობრივი თემატიკის მიხედვით, რაც ერთგვარი მხადაჭერაა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი გრაფა "მაგალითი შედარებისთვის" იძლევა ცოდნის განზოგადების და ტრანსფერის საშუალებას, ამავე დროს პროცესს უფრო საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

5. დაწყებით საფეხურის ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას იმსჯელეს რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება, გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. ინტერვიუთი დასტურდება, რომ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საგაკვეთილო პროცესის თანმდევი პროცესია. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ კათედრაზე ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა/განხორციელება. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ისტ-თან სხვადასხვა საგნების ინტეგრაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№126- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. დანართი №165-ავტორიზაციის განაცხადი
3. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა
4. დანართი№ 67 სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
5. დანართი№122 არაფორმალური განათლება დაწყებით საფეხურზე

6. დანართი №123 გაკვეთილის გეგმები
7. დანართი №124 მატრიცები დაწყებითი საფეხურისთვის
8. დანართი№140 კათედრების ურთიერთობები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სახელმწიფო ენა

1. საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ყოველდღიური სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. ამ ეტაპზე ყველა სასწავლო თემისთვის არ არის განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებითა და დავალებებით დაიფარება სამიზნე ცნებები, თუმცა აღწერილი ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა თავადვე აღმოაჩინეს მცირე ხარვეზები თავიანთ კურიკულუმში (მაგალითად, დავალების მოთხოვნისთვის შეუსაბამო სამიზნე ცნება იყო გააქტიურებული) და მათი გამოსწორების სტრატეგიასაც იქვე მიაგნეს, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ.

ინდიკატორი შესაბამისია

მათემატიკა

1. წარმოდგენილ კურიკულუმში ერთის მხრივ აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა სკლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. წარმოდგენილ კურიკულუმში ერთის მხრივ აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, მე-5 კლასის ბუნების კომპლექსური დავალება „ ტექტონიკური ფილები“-ის შედგენის პროცესში და დავალების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

ინდიკატორი შესაბამისია

უცხოური ენები

1. საგნობრივი კურიკულუმებში გათვალისწინებულია სემესტრის/წლის განმავლობაში შესასწავლი სასწავლო თემები ესგ-ს მიხედვით. თითოეულ სასწავლო თემას გაწერილი აქვს შესაბამისი სამიზნე ცნებები და საკითხები. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში გაწერილია სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომელთა შესწავლა-დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, კათედრაზე მასწავლებლები განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს. მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურ ჩართვას რეფლექსიის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია დრძელვადიანი სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი ,ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია კომპლექსური დავალებების შესრულებაზე და ყველა კომპლექსურ დავალებას მითითებული აქვს, რომელ გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე გადის. **ინდიკატორი შესაბამისია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. მასწავლებლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა უკუკავშირისა და საკუთარი თვითრეფლექსიის ანალიზის საფუძველზე ადგენენ სწავლა/სწავლებს პროცესში მკაფიო არის თუ არა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. დაწყებით საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.2.

სახელმწიფო ენა

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, ურთიერთობები მოზარდებს შორის და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

2. ინტერვიუზე მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ განხილული ქეისით (შესრულებული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის აღწერა), მოგვეცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლა ქმნის მოსწავლეებისთვის პირობებს, რათა მათ შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს, დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს შესასწავლი ტექსტები დააკავშირონ საკუთარ გამოცდილებასთან, ხელს შეუწყობს განცდილის, ნააზრევის გაზიარებას, გააცნობიერებს სხვების პოზიციას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, ემპათიას, შეძლებს გუნდურ მუშაობას.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

2. კურიკულუმის დანართებში გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კეთდება აქცენტები შემდეგ საკითხებზე: მოსწავლის შესაძლებლობა ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები; თვითრეგულაცია - მოსწავლის შესაძლებლობა მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; სოციალური ცნობიერება - გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ; ურთიერთობის უნარები - დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს;

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას; როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს კათედრებზე ზიარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა ისე, რომ ის ემსახურებოდეს არამხოლოდ კონკრეტული საგნის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას. იგეგმება

ისეთი აქტივობები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებზე ორიენტირებას გულისხმობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

ინდიკატორი შესაბამისია

2.2.2.3.

სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

3. სკოლა დაწყებით საფეხურზე დიდ ყურადღებას უთმობს განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარის შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას სამი კომპონენტით (დავალება, საკლასო ჩართულობა და შემაჯამებელი),გარდა ამისა საბუნებისმეტყველო საგნების კათედრაზე შეფასებას აწარმოებენ ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი : თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეტილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი კომენტარები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ

თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც შეფასების ზოგადი რუბრიკები, ასევე განმავითარებლი შეფასების რუბრიკები. მაგ. საგანში რუსული ენა მე-6 კლასში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსურ დავალებაზე დიორამის პრეზენტაცია თემაზე: „საყვარელი ზღაპრის გმირის სახლი“ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ასევე, პედაგოგებს აქვთ სოლო ტაქსონომის გამოყენების გამოცდილება, რაც მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას , ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, კათედრა ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ორიენტირებას მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში და შემდგომ გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასებიბის ყველა თემის ფარგლებში შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. დოკუმენტაციაში გადმოგზავნილია ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრუკები, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლი იცნობს შეფასების პრინციპებს და იყენებს მას სასწავლო პროცესში.

მასწავლებლებთან გასაუბრებაც აჩვენებს, რომ აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდასა და სპოტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.4.

სახელმწიფო ენა

4. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო,

ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების მიხედვით, კათედრას შეუძლია შექმნას ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი სისტემა;**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ იწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქტივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ უიწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ.**ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ დამანახა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე , სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევს შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მმიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

4. სკოლა იყენებს შეფასების სიტემას, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოების შესაბამისად და აკმაყოფილებს ობიექტურობისა და და სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.5.

სახელმწიფო ენა

5. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.

ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი

მათემატიკა

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, მე-4 და მე-6 კლასები მონაწილეობენ გამოცდების ეროვნული გენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში „შეფასება განვითარებისთვის“ . **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანები, სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს პროცესს. ვფიქრობ, წარმოდგენილი დანართების გაანალიზება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

უცხოური ენები

5. სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი არ წარმოუდგენია. მასწავლებელთა მზაობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სკოლა მომავალში მოახერხებს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული

მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. იგივე დაადასტურეს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმაც. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

ესთეტიკური აღზრდა

5. ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, სემესტრული და წლიური გამოცდები. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. სკოლა შეფასების ვერიფიკაციის სისტემად ასახელებს სემესტრულ და ნიშნის ასამაღლებელ გამოცდას და აღნიშნავენ, რომ მსგავსი შემთხვევები სკოლაში იშვითია. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

2.2.2.6.

სახელმწიფო ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

6. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

6.თვითშეფასების კითხვარით დასტურდება, რომ თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე სახის ინფორმაცია არის დაფიქსირებული მაგ: მოსწავლის მიერ მიღებული შეფასება, ჟურნალები, გამოცდების ნაშრომები და ა. შ ინახება კანონმდებლობით განსაზრვრული წესით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

6. დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი
3. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა
4, დანართი№125 კომპლექსური დავალებები დაწყებით საფეხურზე
შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია

მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას

ინდიკატორი შეესაბამება

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების შეჯამება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესი, ისგ გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ბრძანება, მონიტორინგის დასკვნა, ჩანს როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შედგენა. **ინდიკატორი შეესაბამება**

3.როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე კათედრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები (სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და ამის შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ქმნიან კურიკულუმს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების მხარდაჭერას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. კათედრებს აქვთ მზაობა და სამომავლოდ გეგმავენ საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებულ მუშაობას და ერთობრივი ღონისძიებების დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, ასევე თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლისა და კათედრის დონეზე უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია". სკოლის 2022-23 ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარებისა, სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა და მათი განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№165 თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი»№20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

4. დანართი№125 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

5. დანართი №145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

6. დანართი №75 ისგ ჯგუფის ბრძანება

7. დანართი №27 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

8. დანართი№74 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მასალები

9. დანართი№144 შეფასების რუბრიკები

10. დანართი№36 შინაგანაწესი

11. დანართი №50 "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სსიპ - გორის მუნიციპალიტეეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვის მექანიზმები. დოკუმენტში ასახულია როგორ , რა საშუალებებით, ვის მიერ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ასახვა ახალ სასწავლო გეგმაში . ასევე წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა , რომელშიც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს მონიტორინგის პროცესსაც. ინტერვიუზე აღინიშნა,რომ სკოლაში არსებული პრაქტიკით მონიტორინგი მოიცავს, როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული რუბრიკით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A. ასევე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შემუშავებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები, ამოცანები და ქვეამოცანები, **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა: სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. აღინიშნა, რომ კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. სკოლის

თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ წლის მანძილზე მიღწეული შედეგების შეფასება და გასაუმჯობესებელ დეტალებზე მსჯელობა დადებითად აისახება ახალი კურიკულუმის შექმნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

3.მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

4. დანართი №101 მასწავლებელთა ანგარიშები

5. დანართი№7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

6. დანართი №3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია და გასაუბრების დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები. შეფასება კეთდება სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით. ტარდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, მისი ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება, თანმდევი ღონისძიებების განხორციელება სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება

2.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით: შეფასება მოიცავს, როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და ისტ-ის ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი კონტექსტი, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თანამშრომლობითი გარემო და სხვა. უცხოური ენის კათედრა მომავლ სასწავლო წელს გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ისინი დააკვირდებიან ისეთი კონტექსტებიდან დანახულ სიტუაციას, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემა, საკითხი, ინტერესები და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება

3.სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს რომელსაც ის მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში აკეთებს, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად. სკოლაში იგრძნობა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლას ჯერ აქვს აპრობირებული რომელიმე კონკრეტული მეთოდი ან ხერხი, მაგრამ სამომავლოდ სიღრმისეულად აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას კვლევის მეთოდები, დაგეგმვის სტრატეგიები, დასვას კითხვები, შეიმუშავოს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაეხმარებათ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუჯობესებაში.

ინდიკატორი შეესაბამება

4.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა

ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი). სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №144 შეფასების რუბრიკები

2. დანართი№165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

3. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

4. დანართი №126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

5. დანართი №101 მასწავლებელთა ანგარიშები

76. დანართი №7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

7. დანართი №3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, SWOT ანალიზის საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა აცხადებს, რომ კურიკულუმის განვითარებისთვის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

ინდიკატორი შეესაბამება

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა აღნიშნავს, რომ წინა წლის კურიკულუმის რევიზიის განხორციელების შემდგომ მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ხელი შეეწყობა საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირებას, კათედრის /გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას და ამ პროცესებში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. თუმცა კონკრეტულად ვერ ასახელებენ, კონკრეტულად რა ცვლილებები განახორციელეს ახალ კურიკულუმში.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

N165 დანართი -ავტორიზაციის განაცხადი(სკოლის თვითშეფასების კითხვარი)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი-საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი-,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“,წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს, მასში დეტალურად არის გაწერილი როგორც ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი (უზრუნველყოფილია მთლიანად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა), ასევე დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებიც.

ინტერვიუს დროს სკოლამ განაცხადა, რომ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტს დაამტკიცებს სასკოლო კურიკულუმთან ერთად სასწავლო წლის დაწყებამდე. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მხრივ კათედრას აქვს შემდეგი პრაქტიკა: მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის გათვალისწინება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. შემდგომ კურიკულუმის პროექტი გადაეგზავნება დირექციას და, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ბოლოს კი დასამტკიცებლად- პედაგოგიურ საბჭოს. სკოლის მიერ დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულების თანახმად“, სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები, გარდა აკადემიური მოსწრებისა. , ასევე „მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.“

ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, **ინდიკატორი შეესაბამება**

2.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმის /წლიური პროგრამის აგების პრინციპები და ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **მასწავლებლის** როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის დაგეგმვასა და განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები, სასწავლო პროცესის ანალიზი და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული კვლევები... **მოსწავლე**- სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირსა და მის გამოცდილებას, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი როლი სასწავლო პროცესის როგორც ადმინისტრირების, ასევე შინაარსობრივი მხარდაჭერით და პროცესების მიზნობრივი მართვით გამოიხატება.

მშობლის როლი ამ ეტაპზე შემოიფარგლება სხვდასხვა პროექტსა და ღონისძიებებში ჩართულობით, ერთობლივი საქველმოქმედო, საინფორმაციო, შემეცნებითი და სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობით.

ინდიკატორი შეესაბამება

3. კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის დირექცია... მასწავლებლები განხორციელებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ერთობლივად ადგენენ ახალ კურიკულუმს. პროცესში უზიარებენ ინფორმაციას კოლეგებს მიღწევებთან ან პრობლემებთან დაკავშირებით, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, აცნობენ ერთმანეთს შემუშავებულ მატრიცებს, ერთად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ კომპლექსურ დავალებებს... კათედრის თავმჯდომარე არის ორგანიზატორი, რომელიც აგროვებს მასალებს, ათანხმებს და უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სკოლის დირექცია

ფასილიტაციას უწევს სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. მშობლებს და მოსწავლეებს მიეწოდებათ კომპლექსური დავალების ბარათები. სასწავლო წლის ბოლოს მშობლებთან შეხვედრაზე განიხილება საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების საკითხი.

ინდიკატორი შეესაბამება

4.კურიკულუმის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოებვის ჩართულობა ქმნის მიკუთვნებულობის განცდას. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის სოციალური გვერდი, თიმსიში შექმნილი ჯგუფები და საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი

2. დანართი №20 - სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№4- „სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“

4. დანართი№15 - სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა

5.დანართი№129 -საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

6. დანართი №130-კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე

7. დანართი №131 განმავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.

სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის რამდენიმე დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სავალდებულო თემატური ბლოკები და სავალდებულო ტექსტები. დამატებითი ტექსტების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. პირველ ეტაპზე კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი კლასის კურიკულუმი, თუმცა აღმოჩნდა, რომ შემუშავებული აქვს სრულად და ვიზიტის

შემდეგ ატვირთეს. რამდენიმე თემის ფარგლებში ნაჩვენებია, როგორ მიემართება კათედრის მიერ შერჩეული დავალებები საფეხურის სამიზნე ცნებებს. გასაუბრების საფუძველზე შეიძლება, დაისკვნას, რომ მასწავლებლები აანალიზებენ, რა საგნობრივ ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებებით (მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბის ,,მოსე ზამთარაძის ნაამბობის" ფრაგმენტის გადმოცემა პერსონაჟის ხედვის კუთხიდან, შერჩეული ხედვის კუთხიდან მოთხრობის დაწერა ცოცხალი ან არაცოცხალი ბუნების საგანზე ტროპების გამოყენებით და ა.შ). წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, შეიმუშავოს კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

მათემატიკა

1. საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ანალიზისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მათემატიკის სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტში განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია, აგრეთვე, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო საგნები

1. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტში

განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია, აგრეთვე, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილია ინდ.სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები...ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

1.უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო მე-7, მე-8-ე და მე- 9 კლასებში გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით, თუმცა მე-7, 8 , 9კლასების რუსული ენის კურიკულუმებში შესასწორებელია უზუსტობები - მე-7 კლასი - თემა მეოთხე- არ არის დაკონკრეტებული ძირითადი საკითხი. მსგავსი უზუსტობებია მე-8 კლასის პირველ თემაში, მე-9 კლასის თემა მეორეში. კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესები და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. შუალედური მიზნები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს მოტივაციის ზრდას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვანი გახადოს საბაზო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და

ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

1. შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტსა და მეთოდიკურ ორიენტირების მოთხოვნებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;

სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, როცა მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ეს ყველაფერი ასახულია საგნობრივ კურიკულუმში, ინდუალურ-სასწავლო გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებებსა და მასწავლებელთა რეფლექსიებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.2.2.

სახელმწიფო ენა

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. მაგალითად, თემა ,,საზოგადოებაში თანაცხოვრება“ და ამავე თემის ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები მოსწავლეს ჩამოუყალიბებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარს. კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას მოითხოვს იმ პროდუქტების შესრულება, რომლებიც დაგეგმილია კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით (მაგალითად, არგუმენტირებული ესეს რომელიმე აქტუალურ პრობლემაზე). საკომუნიკაციო ჩვევებს ავითარებს საბოლოო პროდუქტის წარდგენის ეტაპი და ა.შ. თავად კათედრის წევრების დამოკიდებულებით, ლიტერატურის სწავლება თავისთავად გულისხმობს ისეთი თემების შემოტანას სასწავლო პროცესში, რომლებიც ზესაგნობრივ საკითხებზე აფიქრებს მოსწავლეს. მათი სასწავლო გამოცდილების მიხედვით, ეს ხდება მაშინ, როცა მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული პირადი გამოცდილების გაზიარებას სთხოვენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

2.საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მე-9 კლასის კურიკულუმი, რომელშიც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები/ქვეცნებები. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. სანიმუშოდ წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმის ჩარჩოების სამუშაო ვერსიები, რომლებშიც ასევე იკითხება შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. განხილვისას ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათემატიკის პედაგოგებს შესწევთ უნარი

კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან.

ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად.სკოლამ წარმოადგინა მე-9 კლასის კურიკულუმი,რომელშიც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები/ქვეცნებები. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები შესაბამისი კონტექსტ მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. სანიმუშოდ წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმის ჩარჩოების სამუშაო ვერსიები, რომლებშიც ასევე იკითხება შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. განხილვისას ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შესწევთ უნარი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან.

ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება, შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2. უცხოური ენის (პირველი და მეორე უცხოური ენები) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად, მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმში განსაზღვრულია თემები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებებსა და საკითხზე.შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს, განივითაროს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. ინტერვიუს დროს რუსული ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგანში „მეორე უცხოური ენა-რუსული“ მე-9 კლასის სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი „მოდური განაჩენი“, მისი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა იძლევა კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების გამოვლენასა და განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

2. საბაზო საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეა. კურიკულუმი მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს: წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვს კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც განაპირობებს 6 გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. ახალი სასწავლო წლისათვის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილია სწავლების მიზნები, თუმცა ამ ეტაპისათვის კურიკულუმი იხვეწება ახალი სასწავლი წლის დაწყებამდე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სპორტი და ფიზიკური აღზრდა

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებებსა და შედეგებს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.2.3.

სახელმწიფო ენა

3. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს ერთი ფაქტორი: სასწავლო თემებისა და ტექსტების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ დიფერენცირების სხვადასხვა ფორმას მიმართავენ: საჭიროებიდან გამომდინარე, ამარტივებენ აქტივობის ინსტრუქციას, ახანგრძლივებენ აქტივობისთვის განკუთვნილ დროს, ჯგუფებში ანაწილებენ სხვადასხვა სირთულის დავალებას, სვამენ სხვადასხვა დონის შეკითხვებს; მეთოდებიდან დაასახელეს შესასავლელი და გასასვლელი ბილეთები, სასწავლო მენიუ. ამ ეტაპზე, როცა კურიკულუმის ჩარჩოში მხოლოდ სასწავლო თემები, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები და რამდენიმე კომპლექსური დავალებაა მოცემული, ბუნებრივია, არ ჩანს, დიფერენცირების რა მიდგომებს გამოიყენებს სკოლა, თუმცა საეტაპო აქტივობებში წარმოჩინდება. მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სწავლების პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **ინდიკატორი შეესაბამება**

მათემატიკა.

3. კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს.სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის დავალებებს, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ

დავალებების ვარიანტებს. გამოყენებული დავალებების პირობები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი, მათი სურვილის შესაბამისად. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რომელსაც დამოუკიდებელი სამუშაოებითა და სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ, ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები და ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს.სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით,რომელსაც დსამოუკიდებელი სამუშაოებითა და სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ რომელიც ჩატარდა მე-7 კლასში ბიოლოგიაში და მე-10 კლასში ქიმიაში. ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებიც სპეციალურ მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად გაანალიზდა, პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას . **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. საგნობრივ კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს არის მორგებული. სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. საბაზო საფეხურის უცხო ენის მასწავლებლები იყენებენ

სწავლა-სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. დოკუმენტებზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის მხრიდან სასწავლო პროცესში ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება არ ხდება, რადგან ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ამის საჭიროებას. თუმცა თითეული მოსწავლის შესაძლებლობაზე ხდება თითოეული კომპლექსური დავალების მორგება. სკოლა საგნობრივ კურიკულუმში მოახდენს ფოკუსირებას სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზზე, მკვიდრი წარმოდგენებსა და საფეხურის საკვანძო შეკითხვებზე, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ შუალედურ მიზნებზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების,

დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისია**

2.1.2.4.

სახელმწიფო ენა

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც დავალების მოთხოვნებსა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირი თვალსაჩინოა. მასწავლებლებმა ახსნეს, როგორ მიემართება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს ის კონკრეტული ცოდნა, რომელსაც დავალების პირობით მოითხოვენ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ერთი მიმდინარე დავალებისთვის, მკაფიოა სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან კავშირი. ბუნებრივია, ამ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ თითოეული სასწავლო თემისთვის სრულყოფილად არ აქვთ განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს გამოიყენებენ სამიზნე ცნებების გასააქტიურებლად, ვერ იქნება წარმოდგენილი ყველა შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ კათედრა შეძლებს ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე,

შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალება შესაბამისი სოლო რუბრიკით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. კათერდის წევრ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალება შესაბამისი რუბრიკი**თ. ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ

შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან . განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრაზე შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

2.1.2.5.

სახელმწიფო ენა

5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სახელმწიფო ენის კათედრამ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში პირველ ეტაპზე შეიტანა მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. მასწავლებლების განმარტებით, სწორედ წინარე გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5. დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს შემაჯამებელი სამუშაოებისა და შესრულებული კომპლექსური დავალებების, წლიური გამოცდების ანალიზის საფუძველზე. საბოლოოდ მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს შემეჯამებელი სამუშაოებისა და შესრულებული კომპლექსური დავალებების, წლიური გამოცდების ანალიზის საფუძველზე, საბოლოოდ მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

5. მოწოდებულ დოკუმენტაციში და ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ახდენენ ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას უკუკავშირს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა მომავლი წლიდან დიდ ყურადღებას დაუთმობენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის გადამუშავება, რევიზია. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

5. წინარე გამოხდილებაზე დაწყრდნობით სკოლა მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, გამოიკვეთება შესაძლებლობები. ეს ანალიზი საფუძვლად ედება სკოლის კურიკულუმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს პდაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და სხვა. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2. დანართი№165 ავტორიხაციის განაცხადი

3. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა
4. დანართი№27 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
5. დანართი№-147 კათედრის სხდომის ოქმები

6. დანართი №75 ისგ ჯგუფის ბრძანება
7. დანართი № 118 სოლო ტაქსონომია
8. დანართი №153 სასწავლო პროექტი
9. დანართი №154 შესრულებული კომპლექსური დავალებები
10. დანართი №155 განმავითარებელი შეფასება

11. დანართი №156 განმსაზღვრელი შეფასება
12. დანართი№121 ადაპტირებული კომპლექსური დავალება
13. დანართი №133 სასწავლო პროექტები საბაზო საფეხურზე
14. დანართი №134 შესრულებული კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე
15. დანართი №135 განმავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე
16. დანართი №136 განმსაზღვრელი შეფასება საბაზო საფეხურზე
17. დანართი №137 შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1

სახელმწიფო ენა

1. მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას მასწავლებლები უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და კომპლექსური ბუნების დავალებებით. ამ ეტაპზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, მაგალითად, ა.სულაკაურის მოთხრობის ,,ბიჭი და ძაღლის“ ახალი ეპიზოდის დაწერა. პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. იგეგმება კურიკულუმის შევსება სწორედ ამ ტიპის დავალებებითა და აქტივობებით. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

1. საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს,ქმნიან სხვადასხვა ვარიაციებს. რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და

მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას. შესაბამსად შეგვიძლია დავასკვნათ **, რომ ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს,ქმნიან სხვადასხვა ვარიაციებს. რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ეკო კომიტეტი, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში,სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას. შესაბამსად შეგვიძლია დავასკვნათ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

1. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლის ინტერესები და იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, მე-7, 8, 9 კლასის კურიკულუმების ჩარჩოში კომპლექსური დავალებები

თავისი ფორმითა და შინაარსით იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას (მაგ.პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: ქართველი და ამერიკელი თინეიჯერები. საოცნებო სკოლის პრეზენტაცია, ბლოგპოსტი თემაზე გლობალური დათბობა და სხვა), რომლის ფარგლებშიც მოსწავლე განიხილავს თანამედროვე თინეიჯერების, გლობალური დათბობის პრობლემებს, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის პრობლემების გადაჭრის საკუთარ ვერსიას თავისი სიტყვებით წერილობით და ზეპირი პრეზენტაციის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1.ესთეტიკის კათედრა საბაზო საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმენზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა, შესაბამისად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას; როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც. კურიკულუმის განხორციელების პროცესში საინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნა მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით

მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, ამიტომაც ისინი შემოქმედებითად უდგებიან საკითხის შესწავლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. 7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.

ინდიკატორი შეესაბამება

2.2.1.2.

სახელმწიფო ენა

2. სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურზე დაცულია ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი-მოსწავლეთა წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგება, რაც დასტურდება იმით, რომ სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლეთათავის ნაცნობ კონტექსტებთან, იმასთან, რაც ხშირად მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგალითად, თავის დამკვიდრება ოჯახსა და სკოლაში, ურთიერთობა მშობლებსა და თანატოლებთან. გარდა ამისა, როგორც კათედრის წევრები აღნიშნავენ, ცდილობენ, ყოველი ახალი თემა და საკითხი დაიწყონ წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებით. მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

2. მათემატიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმი აგებულია „სპირალურად“,სადაც თემები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ მიემართება მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მე-5 კლასში ბუნებისმეტყველებაში „ტექტონიკური ფილების რუკა“ და „ გეოლოგიური კონფერენცია“, სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2. მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რასაც ადასტურებს სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები. ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებების კონტექსტი. ინტერვიუს

დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს ორ პარალელურ მე-9 კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე „მოდური განაჩენი“, რომლის გაანალიზების შემდეგ მასწავლებლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მომდევნო სასწავლო წელს შეიძლება ის აქციონ სასკოლო პროექტად. ამ დასკვნის საშუალებას იძლევა ის წინაპირობა, რომ განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებამ ხელი შეუწყო ორი კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობას. მოსწავლეებმა გადაჭრეს მათთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთეს ანალოგია და შექმნეს საინტერესო პროდუქტი. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმი საგან მუსიკასა და ხელოვნებაში , აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს ეს კარგადჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მუსიკის საგანში განსაზღვრულია თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლქსურ დავალებამდე. ჩანს, რომ პროცესი იგეგმება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და

გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.1.3.

სახელმწიფო ენა

3. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ტექსტების დამუშავების ეტაპზე სისტემატურად სვამენ ამგვარ შეკითხვებს: როგორ ამოიცანი მთავარი სათქმელი? რაში დაგეხმარა ტექსტის ეს მინიშნება? რა ცოდნა გამოიყენე ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურის დასაცავად? ... მსგავსი შინაარსის კითხვები ნამდვილად უბიძგებს მოსწავლეებს მეტაკოგნიტური ფიქრისკენ, თავისი წარმატებისა და ხარვეზების გაანალიზებისკენ. დაასახლეს სტრატეგია 3,2,1, როგორც მოსწავლის თვითშეფასების საშუალება. აცნობიერებენ, რომ მეტაკოგნიტური უნარის გასავითარებლად საჭიროა, სისტემატური და მკაფიო განმავითარებელი უკუკავშირის გაცემა.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

3.თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინრევიუს დროსაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსურმა დავალებებმა და მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლები კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, საკვანძო შეკითხვებს, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებას მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შემენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური მეცნიერებები

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, ხაზგასმა ხდება თემატური გეგმების მნიშვნელობაზე და კომპლექსურის ბუნების დავალებებით მუშაობაზე-ნაცნობი კონტექსტის შეტანაზე, ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან

დაკავშირებით, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში. სწავლის სწავლა ჩანს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, თანატოლთა შეფასებებში, თვითშეფასების რუბრიკებსა თუ კომპლექსური დავალების პრეზენტაციაში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.1.4.

სახელმწიფო ენა

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და კათედრასთან გასაუბრების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურდება ცოდნის სამივე კატეგორია(დეკლარაციული, პირობისეული, პროცედურული), რაც დასტურდება იმით, რომ საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. დავალების შინაარსი და განხორციელების სხვადასხვა ეტაპი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები სწავლობენ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ დეტალებს, იყენებენ ამ ცოდნას დავალების მოთხოვნების შესაბამისად, აცნობიერებენ იმ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც დააკმაყოფილეს დავალების კრიტერიუმები. კათედრის წევრების აღნიშვნით, სასწავლო

პროცესში შეკითხვების, კოგნიტური სქემების, შემოქმედებითი პროდუქტების საშუალებით ააქტიურებენ ცოდნის სამივე კატეგორიას.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი I-VI კლასების მატემატიკის კურიკულუმში მიზნობრივად დაგეგმილი ასეთი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში საფეხურზე მიზნობრივად დაგეგმილი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4. კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე და მათი განხორციელების ეტაპებზე დაყრდნობით, ასევე მასწავლებლებთან ინტრვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს. მე-7 კლასის კურიკულუმში თემა “Мы и школа”ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა

წყაროებიდანაც, ბიჯები თანმიმდევრულია, მუშავდება ქვესაკითხები ერთმანეთთან კორელაციაში, რაც იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში, კერძოდ საოცნებო სკოლის აღწერას და პრეზენტაციას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აფიქსირებენ, რომ პროექტული ტიპის დავალებების ფორმულირებას და შექმნას გეგმავენ კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით.**ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას. ისინი კომპლექსური დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია და სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი შეესაბამება**

2.2.1.5.

სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. მაგალითად, ერთ-ერთი პირობის მიხედვით, მოსწავლემ არჩილ სულაკაურის მოთხრობის მიხედვით უნდა შექმნას ახალი ეპიზოდი, ამისთვის მან უნდა გაანალიზოს ტექსტის თემა და სათქმელი, პერსონაჟების შინაგანი მახასიათებლები, მათი მეტყველების მანერა, თხრობითი ტექსტის სტრუქტურა, ეპიზოდის, როგორც კომპოზიციური ელემენტის არსი - ამ ცოდნათა დაკავშირებით უნდა შექმნას ახალი პროდუქტი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური და STEAM - ინტერდისციპლინარული დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური და STEAM - ინტერდისციპლინარული დავალებების ერთობლივად. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

5. უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები,რაც ერთგვარი მხარადაჭერაა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

5. საბაზო საფეხურის ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას იმსჯელეს რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება, გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.**ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. **დანართი№ 129-საბაზო საფეხურის კურიკულუმი**
2. **დანართი №165-ავტორიზაციის განაცხადი**
3. **დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა**
4. **დანართი№ 67 სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში**
5. **დანართი №123 გაკვეთილის გეგმები**
6. **დანართი №138 USAID სამოქალაქო განათლება**
7. **დანართი №139 არაფორმალური განათლება საბაზო საფეხურზე**
8. **დანართი№141 მატრიცები საბაზო საფეხურზე**
9. **დანართი№140 კათედრების ურთიერთობები**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სახელმწიფო ენა

1. საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ყოველდღიური სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. ამ ეტაპზე ყველა სასწავლო თემისთვის არ არის განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებითა და დავალებებით დაიფარება სამიზნე ცნებები, თუმცა აღწერილი ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა თავადვე აღმოაჩინეს მცირე ხარვეზები თავიანთ კურიკულუმში (მაგალითად, დავალების მოთხოვნისთვის შეუსაბამო სამიზნე ცნება იყო გააქტიურებული) და მათი გამოსწორების სტრატეგიასაც იქვე მიაგნეს, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც

უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

1. წარმოდგენილ კურიკულუმში ერთის მხრივ აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა სკლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.წარმოდგენილ კურიკულუმში ერთის მხრივ აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. დავალების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.**ინდიკატორი შესაბამისია**

უცხოური ენები

1. საგნობრივი კურიკულუმებში გათვალისწინებულია სემესტრის/წლის განმავლობაში შესასწავლი სასწავლო თემები ესგ-ს მიხედვით. თითოეულ სასწავლო თემას გაწერილი აქვს შესაბამისი სამიზნე ცნებები და საკითხები. წარმოდგენილ

კომპლექსური დავალების ბარათებში გაწერილია სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომელთა შესწავლა-დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, კათედრაზე მასწავლებლები განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს. მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურ ჩართვას რეფლექსიის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია დრძელვადიანი სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება** .

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1.კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. მასწავლებლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა უკუკავშირისა და საკუთარი თვითრეფლექსიის ანალიზის საფუძველზე ადგენენ სწავლა/სწავლებს პროცესში მკაფიო არის თუ არა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი

მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი", რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.2.

სახელმწიფო ენა

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, ურთიერთობები მოზარდებს შორის, პიროვნული არჩევანი, ეროვნული თავისუფლება, საზოგადოებისა და პიროვნების დამოკიდებულება და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება.**ინდიკატორი შეესაბამება**

მათემატიკა

2.ინტერვიუზე მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ

თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ განხილული ქეისით (შესრულებული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის აღწერა), მოგვეცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლა ქმნის მოსწავლეებისთვის პირობებს, რათა მათ შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

1.წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს, დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს შესასწავლი ტექსტები დააკავშირონ საკუთარ გამოცდილებასთან, ხელს შეუწყობს განცდილის, ნააზრევის გაზიარებას, გააცნობიერებს სხვების პოზიციას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, ემპათიას, შეძლებს გუნდურ მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

2. კურიკულუმის დანართებში გასაუბრების შემდეგდამოიკვეთა ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას; როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს კათედრებზე ზიარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა ისე, რომ ის ემსახურებოდეს არამხოლოდ კონკრეტული საგნის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას. იგეგმება ისეთი აქტივობები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებზე ორიენტირებას გულისხმობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად.**ინდიკატორი შესაბამისია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.3.

სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

3.სკოლა საბაზო საფეხურზე დიდ ყურადღებას უთმობს განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარის შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას სამი კომპონენტით (დავალება, საკლასო ჩართულობა და შემაჯამებელი),გარდა ამისა საბუნებისმეტყველო საგნების კათედრაზე შეფასებას აწარმოებენ ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი : თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეტილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი კომენტარები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც შეფასების ზოგადი რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური დავალების რუბრიკები. მაგ. საგანში რუსული ენა მე-8 კლასში ტურისტული დღიური თემაზე: „ ჩემი მოგზაურობის შესახებ“ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ასევე პედაგოგებს აქვთ სოლო ტაქსონომის გამოყენების გამოცდილება, რაც მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას უწყობს ხელს.**ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას , ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, კათედრა ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ორიენტირებას მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში და შემდგომ გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასებიბის ყველა თემის ფარგლებში შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.4.

სახელმწიფო ენა

4. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების მიხედვით, კათედრას შეუძლია შექმნას ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი სისტემა;**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ იწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქტივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით

რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ უიწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ დამანახა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე , სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევს შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მმიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.5.

სახელმწიფო ენა

5. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, მე-4 და მე-6 კლასები მონაწილეობენ გამოცდების ეროვნული გენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში „შეფასება განვითარებისთვის“ . **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანები, სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს პროცესს. ვფიქრობ, წარმოდგენილი დანართების გაანალიზება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

უცხოური ენები

5. სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი არ წარმოუდგენია. მასწავლებელთა მზაობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სკოლა მომავალში მოახერხებს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. იგივე დაადასტურეს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმაც. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

ესთეტიკური აღზრდა

5. ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, სემესტრული და წლიური გამოცდები. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

კომპიუტერული ტექნოლოგიები

5. სკოლა შეფასების ვერიფიკაციის სისტემად ასახელებს სემესტრულ და ნიშნის ასამაღლებელ გამოცდას და აღნიშნავენ, რომ მსგავსი შემთხვევები სკოლაში იშვითია. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.6.

სახელმწიფო ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისი**ა

მათემატიკა

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ესთეტიკური აღზრდა

6. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

6. დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.**ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი
3. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ინდიკატორი შეესაბამება

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების შეჯამება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესი, ისგ გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ბრძანება, მონიტორინგის დასკვნა, ჩანს როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

ინდიკატორი შეესაბამება

3.როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე კათედრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები (სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და ამის შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ქმნიან კურიკულუმს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების მხარდაჭერას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ

მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. კათედრებს აქვთ მზაობა და სამომავლოდ გეგმავენ საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებულ მუშაობას და ერთობრივი ღონისძიებების დაგეგმვას.

ინდიკატორი შეესაბამება

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, ასევე თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლისა და კათედრის დონეზე უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია". სკოლის 2022-23 ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარებისა, სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა და მათი განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№165 თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

4. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

5. დანართი№145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

6. დანართი № 75 ისგ ჯგუფის ბრძანება

7. დანართი №78 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

8. დანართი №74 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მასალები

9. დანართი № 144 შეფასების რუბრიკები

10. დანართი№ 36 შინაგანაწესი

11. დანართი№50 "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სსიპ - გორის მუნიციპალიტეეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე- სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვის მექანიზმები. დოკუმენტში ასახულია როგორ , რა საშუალებებით, ვის მიერ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ასახვა ახალ სასწავლო გეგმაში . ასევე წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა , რომელშიც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს მონიტორინგის პროცესსაც. ინტერვიუზე აღინიშნა,რომ სკოლაში არსებული პრაქტიკით მონიტორინგი მოიცავს, როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული რუბრიკით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A. ასევე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შემუშავებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები,

ამოცანები და ქვეამოცანები, განსაზღვრულია ინდიკატორები, რომლების გაზომავს, როგორც პროცესს, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე -შედეგებს. დაკონკრეტებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები.

ინდიკატორი შეესაბამება

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა: სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. აღინიშნა, რომ კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ წლის მანძილზე მიღწეული შედეგების შეფასება და გასაუმჯობესებელ დეტალებზე მსჯელობა დადებითად აისახება ახალი კურიკულუმის შექმნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

3.მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

4. დანართი № 101 მასწავლებელთა ანგარიშები

5. დანართი №7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

6. დანართი№3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია და გასაუბრების დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრების მხრიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. იყენებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით: საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები. შეფასება კეთდება სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით. ტარდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, მისი ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება, თანმდევი ღონისძიებების განხორციელება სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება

2.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით: შეფასება მოიცავს როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე- ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და ისტ-ის ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი კონტექსტი, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თანამშრომლობითი გარემო და სხვა. უცხოური ენის კათედრა მომავლ სასწავლო წელს გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ისინი დააკვირდებიან ისეთი კონტექსტებიდან დანახულ სიტუაციას, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემა, საკითხი, ინტერესები და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება

3.სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომლებსაც ის, მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში აკეთებს, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას, განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად. სკოლაში იგრძნობა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლას ჯერ აქვს აპრობირებული რომელიმე კონკრეტული მეთოდი ან ხერხი, მაგრამ სამომავლოდ სიღრმისეულად აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას კვლევის მეთოდები, დაგეგმვის სტრატეგიები, დასვას კითხვები, შეიმუშავოს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რომელიც დაეხმარებათ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუჯობესებაში.

ინდიკატორი შეესაბამება

4.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი). სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№144 შეფასების რუბრიკები

2. დანართი№165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

3. დანართი№ 20 სასკოლო სასწავლო გეგმა

4. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

5. დანართი№129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

6. დანართი№ 145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

7. დანართი№117 მასწავლებელთა ანგარიშები

8. დანართი №7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

9. დანართი №3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, SWOT ანალიზის საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა აცხადებს, რომ კურიკულუმის განვითარებისთვის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

ინდიკატორი შეესაბამება

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა აღნიშნავს, რომ წინა წლის კურიკულუმის რევიზიის განხორციელების შემდგომ მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ხელი შეეწყობა საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირებას, კათედრის

/გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას და ამ პროცესებში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. თუმცა კონკრეტულად ვერ ასახელებენ, კონკრეტულად რა ცვლილებები განახორციელეს ახალ კურიკულუმში.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

N165 დანართი -ავტორიზაციის განაცხადი(სკოლის თვითშეფასების კითხვარი)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი-,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია",წარმოადგინა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელშიც დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს, მასში დეტალურად არის გაწერილი როგორც ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი (უზრუნველყოფილია მთლიანად სასკოლო საზოგადოების ჩართულობა), ასევე დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებიც.

ინტერვიუს დროს სკოლამ განაცხადა, რომ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის" დოკუმენტს დაამტკიცებს სასკოლო კურიკულუმთან ერთად სასწავლო წლის დაწყებამდე. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების მხრივ კათედრას აქვს შემდეგი პრაქტიკა: მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება, მოსწავლეთა შედეგების ანალიზის გათვალისწიება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. შემდგომ კურიკულუმის პროექტი გადაეგზავნება დირექციას და, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს, ბოლოს კი დასამტკიცებლად- პედაგოგიურ საბჭოს. სკოლის მიერ დამტკიცებული „მშობლებთან ურთიერთობის დებულების თანახმად", სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები, გარდა აკადემიური მოსწრებისა. , ასევე

„მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.“

ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, ინდიკატორი შეესაბამება.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ **მასწავლებლის** როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის დაგეგმვასა და განვითარებაში. მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები, სასწავლო პროცესის ანალიზი და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული კვლევები. **მოსწავლე-** სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირსა და მის გამოცდილებას, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი როლი სასწავლო პროცესის როგორც ადმინისტრირების, ასევე შინაარსობრივი მხარდაჭერით და პროცესების მიზნობრივი მართვით გამოიხატება.

მშობლის როლი ამ ეტაპზე შემოიფარგლება სხვდასხვა პროექტსა და ღონისძიებებში ჩართულობით, ერთობლივი საქველმოქმედო, საინფორმაციო, შემეცნებითი და სხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობით.

ინდიკატორი შეესაბამება

3.კათედრების წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის დირექცია... მასწავლებლები განხორციელებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ერთობლივად ადგენენ ახალ კურიკულუმს. პროცესში უზიარებენ ინფორმაციას კოლეგებს მიღწევებთან ან პრობლემებთან დაკავშირებით, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, აცნობენ ერთმანეთს შემუშავებულ მატრიცებს, ერთად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ კომპლექსურ დავალებებს... კათედრის თავმჯდომარე არის ორგანიზატორი, რომელიც აგროვებს

მასალებს, ათანხმებს და უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას. მშობლებს და მოსწავლეებს მიეწოდებათ კომპლექსური დავალების ბარათები. სასწავლო წლის ბოლოს მშობლებთან შეხვედრაზე განიხილება საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების საკითხი.

ინდიკატორი შეესაბამება

4.კურიკულუმის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოებვის ჩართულობა ქმნის მიკუთვნებულობის განცდას. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის სოციალური გვერდი, თიმსიში შექმნილი ჯგუფები და საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. **დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი**
2. **დანართი №20 - სასკოლო სასწავლო გეგმა**
3. **დანართი№4- „სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“**
4. **დანართი№15 - სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა**
5. **დანართი № 145 საშუალო საფეხურის კურიკულუმები**
6. **დანართი №146 კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე**
7. **დანართი № 148 განმავითარებელი შეფასება საშუალო საფეხურზე**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.

სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის რამდენიმე დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები და ტექსტები. დამატებითი ტექსტებია შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. პირველ ეტაპზე კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი კლასის კურიკულუმი, თუმცა აღმოჩნდა, რომ შემუშავებული აქვს სრულად და ვიზიტის შემდეგ ატვირთეს. რამდენიმე თემის ფარგლებში ნაჩვენებია, როგორ მიემართება კათედრის მიერ შერჩეული დავალებები საფეხურის სამიზნე ცნებებს. გასაუბრების საფუძველზე შეიძლება, დაისკვნას, რომ მასწავლებლები აანალიზებენ, რა საგნობრივ ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებებით (მაგალითად, ანალიტიკური ესე ,,მართალი სამართალი“ თუ ,,უბრალო სისხლი“ რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ფრაგმენტის მიხედვით, წარმოსახვითი ინტერვიუ ,,დავითიანის“ ავტორთან, დავით გურამიშვილთან...). წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, შეიმუშავოს კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

1. საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის ანალიზისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მათემატიკის სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე

ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტში განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია, აგრეთვე, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში.ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის სიღრმისეული სწავლების უზრუნველყოფა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტებში განხილვა, იკვეთება საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია, აგრეთვე, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. ასევე დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილია ინდ.სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები...ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

1. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით. კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა თუ როგორ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესები და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. შუალედური მიზნები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრა გეგმავს 2022-23 წლის გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

1. ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. ხელოვნების საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით თემა, საკითხები და ცნებები შევსებულია სწორად. ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების იდეა.

ინდიკატორი შეესაბამება

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე . სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.2.2.

სახელმწიფო ენა

.2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ-მაგალითები. მაგალითად, თემა ,,კაცისა და ქვეყნის ბედი“ და ამავე თემის ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები მოსწავლეს ჩამოუყალიბებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარს. კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას მოითხოვს იმ პროდუქტების შესრულება, რომლებიც დაგეგმილია კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით (მაგალითად, არგუმენტირებული ესეს რომელიმე აქტუალურ პრობლემაზე). საკომუნიკაციო ჩვევებს ავითარებს საბოლოო პროდუქტის წარდგენის ეტაპი და ა.შ. თავად კათედრის წევრების დამოკიდებულებით, ლიტერატურის სწავლება თავისთავად გულისხმობს ისეთი თემების შემოტანას სასწავლო პროცესში, რომლებიც ზესაგნობრივ საკითხებზე აფიქრებს მოსწავლეს. მათი სასწავლო გამოცდილების მიხედვით, ეს ხდება მაშინ, როცა მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული პირადი გამოცდილების გაზიარებას სთხოვენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა

2. საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად.სკოლამ წარმოადგინა მე-10 კლასის კურიკულუმი,რომელშიც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია

საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები/ქვეცნებები. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით გაწერილია 3 კომპლექსური დავალების იდეა შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. სანიმუშოდ წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმის ჩარჩოების სამუშაო ვერსიები, რომლებშიც ასევე იკითხება შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. განხილვისას ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ მათემატიკის პედაგოგებს შესწევთ უნარი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან.

ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება, შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად.სკოლამ წარმოადგინა მე-10 კლასის კურიკულუმი, რომელშიც თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები/ქვეცნებები. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებითა და სასწავლო რესურსებით. სანიმუშოდ წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს მე-11 კლასების კურიკულუმის ჩარჩოების სამუშაო ვერსიები, რომლებშიც ასევე იკითხება შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. განხილვისას, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს

შესწევთ უნარი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან.

ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობის გამოცდილება, შემდგომშიც ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2.საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია თემები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები. კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების. ინტერვიუს დროს ინგლისური ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მე-12 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი ესე თემაზე:“ სკოლაში საგნების სწავლების შესახებ“ მოსწავლეებს განუვითარებთ კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

2. ხელოვნების საგნის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას, განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება აქვს მხოლოდ მეათე კლასში რადგან გასულ სასწავლო წელს, საშუალო საფეხურზე, პირველად დაინერგა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. ამ პროცესში კათედრა იკვლევს შედეგებს შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე. მომავალი სასწავლო წლიდან დაინერგება ახლად შემუშავებული კურიკულუმი. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო საფეხურის კათედრა შეიმუშავებს კურიკულუმის ჩარჩოს მეთერთმეტე კლასისათვის გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებებსა და შედეგებს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.2.3.

სახელმწიფო ენა

3. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს ერთი ფაქტორი: საშუალო საფეხურზე სავალდებულო თემები და ტექსტები სტანდარტითაა განსაზღვრული, მოსწავლეთა ლიტერატურული გემოვნებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები არჩევენ ლიტერატურულ პარალელებს როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურიდან. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ დიფერენცირების სხვადასხვა ფორმას მიმართავენ: საჭიროებიდან გამომდინარე, ამარტივებენ აქტივობის ინსტრუქციას, ახანგრძლივებენ აქტივობისთვის განკუთვნილ დროს, ჯგუფებში ანაწილებენ სხვადასხვა სირთულის დავალებას, სვამენ სხვადასხვა დონის შეკითხვებს; მეთოდებიდან დაასახელეს შესასავლელი და გასასვლელი ბილეთები, სასწავლო მენიუ. ამ

ეტაპზე, როცა კურიკულუმის ჩარჩოში მხოლოდ სასწავლო თემები, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები და რამდენიმე კომპლექსური დავალებაა მოცემული, ბუნებრივია, არ ჩანს, დიფერენცირების რა მიდგომებს გამოიყენებს სკოლა, თუმცა საეტაპო აქტივობებში წარმოჩინდება. მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სწავლების პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **ინდიკატორი შეესაბამება**

მათემატიკა

3. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის დავალებებს. საშუალო საფეხურზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, აღნიშნული მეთოდი ზრდის მოსწავლეებში სწავლის მოტივაციას, ავითარებს ტრანსფერის, მეტაკოგნიტური, კრიტიკული, ანალიტიკური, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და სხვა უნარებს. მოსწავლეებს უვითარდებათ, როგორც სასწავლო და ციფრული წიგნიერების, ასევე ცხოვრებისთვის საჭირო უნარები. გამოყენებული დავალებების პირობები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. პროცესში მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რომელსაც დამოუკიდებელი სამუშაოებითა და სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ, ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს.სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა

სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის დავალებებს, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით,რომელსაც დამოუკიდებელი სამუშაოებითა და სადიაგნოსტიკო ტესტებით ადგენენ, რომელიც ჩატარდა მე-7 კლასში ბიოლოგიაში და მე-10 კლასში ქიმიაში. ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებიც სპეციალურ მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად გაანალიზდა, პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას . **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3.საგნობრივ კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მორგებულია მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალებს, რაც ხელს უწყობს რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ საკუთარი მოსწავლეების სწავლის სტილს, შესაძლებლობებს და საჭიროებისამებრ სთავაზობენ მათ ადაპტირებულ დავალებებს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილია, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. დოკუმენტებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესში არ ხდება ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, რადგან არ წარმოადგენს ამის საჭიროებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.სასწავლო პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. სამომავლოდ იგეგმება ამ მიმართულებით მიდგომების დახვეწა, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, დანერგონ დიფერენცირების სტრატეგიების მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისია**

2.1.2.4.

სახელმწიფო ენა

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც დავალების მოთხოვნებსა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირი თვალსაჩინოა. მასწავლებლებმა ახსნეს, როგორ მიემართება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს ის კონკრეტული ცოდნა, რომელსაც დავალების პირობით მოითხოვენ.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაშიც მკაფიოა სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან კავშირი. ბუნებრივია, ამ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ თითოეული სასწავლო თემისთვის სრულყოფილად არ აქვთ განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს გამოიყენებენ სამიზნე ცნებების გასააქტიურებლად, ვერ იქნება წარმოდგენილი ყველა შეფასების რუბრიკა, თუმცა ატვირთული ნიმუშები და მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4.მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. კათერდის წევრ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი

იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალება შესაბამისი რუბრიკით. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. შეფასებისას იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სასწავლო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლები ინტერვიუს დროს ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრელვადიან მიზნებს. ხელოვნების საგანში წარმოდგენილი არ არის საბაზო საფეხურის შესაბამისი შეფასების რუბრიკები,

თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრების შემდგომ დადგინა, რომ ესმით საკითხი და გეგმავენ ამ საკითხის განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნისათვის.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე **ინდიკატორი შეესაბამება**

2.1.2.5.

სახელმწიფო ენა

5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სახელმწიფო ენის კათედრამ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში პირველ ეტაპზე შეიტანა მხოლოდ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია

გამოავლინეს. მასწავლებლების განმარტებით, სწორედ წინარე გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მიიღეს ეს გადაწყვეტილება.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5. დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს შემაჯამებელი სამუშაოებისა და შესრულებული კომპლექსური დავალებების, წლიური გამოცდების ანალიზის საფუძველზე. საბოლოოდ მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს, სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს შემეჯამებელი სამუშაოებისა და შესრულებული კომპლექსური დავალებების, წლიური გამოცდების ანალიზის საფუძველზე, საბოლოოდ მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშაობენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შექმნაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

5. მოწოდებულ დოკუმენტაციში და ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ახდენენ ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მასწავლებლები აკეთებენ

რეფლექსიას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, უკუკავშირს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა მომავალი წლიდან დიდ ყურადღებას დაუთმობენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის გადამუშავება, რევიზია. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

5.კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები აგებისას ვერ მოხდება წინარე გამოცდილების გათვალისწინება, რადგან მეათე კლაში ხელოვნების საგნის პროექტული სწავლება წელს დაინერგა. შესაბამისად მასში ნაწილობრივ გათვალისწინებულია წინარე კომპლექქსურ დავალებებზე დაყრდნობით გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.წარმოდგენილ დოკუმენტაციაში - კათედრის ოქმებში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

4. დანართი№165 ავტორიხაციის განაცხადი

5. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა

6. დანართი№27 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
7. დანართი№-147 კათედრის სხდომის ოქმები

8. დანართი №75 ისგ ჯგუფის ბრძანება
9. დანართი № 118 სოლო ტაქსონომია
10. დანართი №153 სასწავლო პროექტი
11. დანართი №154 შესრულებული კომპლექსური დავალებები
12. დანართი №155 განმავითარებელი შეფასება
13. დანართი №156 განმსაზღვრელი შეფასება
14. დანართი№121 ადაპტირებული კომპლექსური დავალება
15. დანართი №157 შემაჯამებელი დავალებები საშუალო საფეხურზე
16. დანართი №149 სასწავლო პროექტები საშუალო საფეხურზე
17. დანართი №150 შესრულებული კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე
18. დანართი № 151 განმსაზღვრელი შეფასება საშუალო საფეხურზე

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1

სახელმწიფო ენა

1. მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას მასწავლებლები უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და კომპლექსური ბუნების დავალებებით. ამ ეტაპზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, მაგალითად, დ.გურამიშვილის ,,დავითიანის" მიხედვით წარმოსახვითი ინტერვიუს შედგენა ავტორთან. პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მოითხოვს ტექსტში მოცემული ავტობიოგრაფიული დეტალების, წარმოჩენილი ეპოქის, ინტერვიუს მახასიათებლების სიღრმისეულ შესწავლა-გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. იგეგმება კურიკულუმის შევსება სწორედ ამ ტიპის დავალებებითა და აქტივობებით. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

1. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს,ქმნიან სხვადასხვა ვარიაციებს. რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-

განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში,სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას. შესაბამსად შეგვიძლია დავასკვნათ, **რომ ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის გაანალიზებისა და ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრავენ მისაღწევ შედეგებს. თემებსა და საკითხებს ირჩევენ ესგ-ის შესაბამისად, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით მუშაობენ კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგან, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას, შეუძლიათ საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს,ქმნიან სხვადასხვა ვარიაციებს. რაც აღძრავს მათში ცნობისმოყვარეობას და მოითხოვს თვითრეფლექსიას. ეს კი ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ეკო კომიტეტი, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში,სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას. შესაბამსად შეგვიძლია დავასკვნათ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

1.საშუალო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმების ჩარჩოში კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას, მაგ., "ბროშურა მშობლიური ქალაქის შესახებ", "ესე თემაზე: სკოლაში მობილური ტელეფონების ტარების შესახებ" სხვა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე სხვადასხვა ჟანრის დიდაქტიზებული ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგების გზით მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას; მონაწილეობას იღებს ინტერაქციაში, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში; უბიძგებს მოსწავლეს მიზნობრივად დაგეგმოს ქმედებები და გადმოსცემს საკუთარი ვერსია თავისი სიტყვებით წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციის სახით. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1. ხელოვნების კურიკულუმებზე დაყრდნობით ხერხდება სასწავლო პროცესის დანახვა, შესაბამისად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას; გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით,სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2.2.1.2.

სახელმწიფო ენა

2. სახელმწიფო ენის დაწყებით საფეხურზე დაცულია ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი- მოსწავლეთა წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგება, რაც დასტურდება იმით, რომ სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლეთათავის ნაცნობ კონტექსტებთან, იმასთან, რაც ხშირად მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგალითად, პიროვნული არჩევანი, რწმენის თავისუფლება, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება. გარდა ამისა, როგორც კათედრის წევრები აღნიშნავენ, ცდილობენ, ყოველი ახალი თემა და საკითხი დაიწყონ წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებით. მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

2.მათემატიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმი აგებულია „სპირალურად“,სადაც თემები დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ მიემართება მარტივიდან რთულისკენ, მეორდება, თანდათან ღრმავდება და ითვალისწინებს წინარე ცოდნას. თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს როდესაც მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ ერთი კონკრეტული

ქეისი და მათ აღწერეს კონკრეტული თემის სწავლება ეტაპების შესაბამისად. ისაუბრეს განხორციელებულ ინტეგრირებულ კომპლექსურ დავალებაზე მე-5 კლასში ბუნებისმეტყველებასა და მე-10 კლასში ბიოლოგიაში სადაც მოსწავლეებმა პროდუქტის სახით შექმნეს ჩანაწერების დღიურები. ასევე კატედრამ განახორციელა „ გეოლოგიური კონფერენცია“, სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2. სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები ადასტურებს იმას, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თემატური დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რაც ეხმარება მას ახალი ინფორმაცია დააკავშიროს წინარე ცოდნასთან, დაამუშავოს და გადაიტანოს შეძენილ ცოდნაში. მე-10 კლასის რუსული ენის კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაზე „ცნობილი და უცნობი ადამიანები ჩვენს ცხოვრებაში.“ მუშაობის პროცესში მოსწავლეები შეძლებენ სხვა საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია) მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და შექნიან საინტერესო პროდუქტს.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

2. ხელოვნების საგნის კურიკულუმში იკვეთება, რომ წინარე ცოდნაზე დაფუძნევით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტ თემები, რომელიც მას დაეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ნაცნობი კონტექსტი მოსწავლეს გაუადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, გაეზარდოს მოტივაცია და სხვ. **ინდიკატორის შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რათა მოსწავლემ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.**ინდიკატორი შესაბამისია**

სახელმწიფო ენა

3. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ტექსტების დამუშავების ეტაპზე სისტემატურად სვამენ ამგვარ შეკითხვებს: როგორ ამოიცანი მთავარი სათქმელი? რაში დაგეხმარა ტექსტის ეს მინიშნება? რა ცოდნა გამოიყენე ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურის დასაცავად? ... მსგავსი შინაარსის კითხვები ნამდვილად უბიძგებს მოსწავლეებს მეტაკოგნიტური ფიქრისკენ, თავისი წარმატებისა და ხარვეზების გაანალიზებისკენ. დაასახლეს სტრატეგია 3,2,1, როგორც მოსწავლის

თვითშეფასების საშუალება. აცნობიერებენ, რომ მეტაკოგნიტური უნარის გასავითარებლად საჭიროა, სისტემატური და მკაფიო განმავითარებელი უკუკავშირის გაცემა. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

3. თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერევიუს დროსაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას. შეგვიძლია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. მასწავლებლები კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შეძენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე არამედ სწავლის სწავლაზე, სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლა სწავლების 5 პრინციპზე და ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე - სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე- იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ შესრულებული აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების კავშირზე. ხშირად სვამენ კითხვას -როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას დავალების შესასრულებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ

აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.1.4.

სახელმწიფო ენა

4. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და კათედრასთან გასაუბრების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურდება ცოდნის სამივე კატეგორია(დეკლარაციული, პირობისეული, პროცედურული), რაც დასტურდება იმით, რომ საგნობრივ კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები. დავალების შინაარსი და განხორციელების სხვადასხვა ეტაპი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები სწავლობენ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ დეტალებს, იყენებენ ამ ცოდნას დავალების მოთხოვნების შესაბამისად, აცნობიერებენ იმ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც დააკმაყოფილეს დავალების კრიტერიუმები. კათედრის წევრების აღნიშვნით, სასწავლო პროცესში შეკითხვების, კოგნიტური სქემების, შემოქმედებითი პროდუქტების საშუალებით ააქტიურებენ ცოდნის სამივე კატეგორიას.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4.კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი მატემატიკის კურიკულუმში საფეხურზე მიზნობრივად დაგეგმილი ასეთი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში სასუალო საფეხურზე მიზნობრივად დაგეგმილი დავალებები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

4.მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას უწყობს ხელს. მე-12 კლასის რუსული ენის კურიკულუმში პირველი თემის ფარგლებში კომპლექსურ დავალებაზე წერილი მეგობარს ,, Мой друг,, მუშაობის პროცესში ისეა აგებული, რომ სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები კორელაციაშია შეფასების კრიტერიუმებთან, რაც იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში, კერძოდ საკუთარი მეგობრის პროფილის აღწერას და დახასიათებას. ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ ძირითად გამოწვევად მაინც რჩება ცოდნის მესამე კატეგორია - პირობისეული ცოდნის დამუშავება და გამომჟღავნება, რადგან უკავშირდება მაღალ სააზროვნო უნარებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმობა პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას. მასწავლებლები გეგმავენ პროექტული ტიპის დავალებების შექმნას კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით და მათ დანერგავს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. ხელოვნების საგნის თემატურ მატრიცებში მოცემული აქტივობების შეკითხვებიდან გამომდინარე იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დანართებში წარმოადგენილია სხვა საგნის რუბრიკებზე დაყრდნობით

მეტნაკლებად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. დაგეგმილი კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. მაგალითად, ერთ-ერთი პირობის მიხედვით, მოსწავლემ უნდა დაწეროს ანალიტიკური ესე ,,ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ფრაგმენტის მიხედვით. საბოლოო ნამუშევრის შესაქმნელად მან უნდა გაიაზროს პერსონაჟთა ქცევის მოტივი, ავტორის დამოკიდებულება ფაქტისადმი, დაიცვას ანალიტიკური თხზულების სტრუქტურა და სტილი, დაცვას ენობრივი ნორმები, თითოეული ამოცანა დაკავშირებულია სხვაადსხვა სამიზნე ცნებასთან. ამ ცოდნათა დაკავშირებით უნდა შექმნას ახალი პროდუქტი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

5.საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სასკოლო პროექტების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

5. უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები,რაც ერთგვარი მხარადაჭერაა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური და STEAM - ინტერდისციპლინარული დავალებების ერთობლივად. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

5. ესთეტიკის საგნების კათედრის პედაგოგებმა ინტერვიურებისას იმსჯელეს რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს საგანთაშორისი ინტეგრირების გამოცდილება რასაც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამყარებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.**ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1 დანართი№ 145 - საშუალო საფეხურების კურიკულუმი
2. დანართი №165-ავტორიზაციის განაცხადი
3. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა
4. დანართი№ 67 სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
5. დანართი №123 გაკვეთილის გეგმები
6. დანართი №138 USAID სამოქალაქო განათლება
7. დანართი№140 კათედრების ურთიერთობები
8. დანართი №152 არაფორმალური განათლება საშუალო საფეხურზე

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო ენა

1.მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას მასწავლებლები უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და კომპლექსური ბუნების დავალებებით. ამ ეტაპზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, მაგალითად, დ.გურამიშვილის ,,დავითიანის“ მიხედვით წარმოსახვითი ინტერვიუს შედგენა ავტორთან. პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მოითხოვს ტექსტში მოცემული ავტობიოგრაფიული დეტალების, წარმოჩენილი ეპოქის, ინტერვიუს მახასიათებლების სიღრმისეულ შესწავლა-გაანალიზებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და

შემოქმედებით პროცესში ჩართვას. იგეგმება კურიკულუმის შევსება სწორედ ამ ტიპის დავალებებითა და აქტივობებით. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

1.წარმოდგენილ კურიკულუმში, ერთი მხრივ, აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა სკლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.წარმოდგენილ კურიკულუმში ერთის მხრივ აღწერილი თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერების სიღრმისეული გაანალიზება, ემსახურება საგნის გაგებასა და ცოდნის მიღებას, მეორეს მხრივ იკვეთება ცალკეული თემების, საკითხების კავშირი სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მაგალითად, მე-10

კლასის ბიოლოგიის კომპლექსური დავალება „ უჯრედის მოდელი “ განხორციელებისას მოსწავლეს უწევს რეალური სიტუაციაში ბიოლოგიის საგნიოს სიღრმისეული ცოდნა. **ინდიკატორი შესაბამისია**

უცხოური ენები

1. საგნობრივი კურიკულუმებში გათვალისწინებულია სემესტრის/წლის განმავლობაში შესასწავლი სასწავლო თემები ესგ-ს მიხედვით. თითოეულ სასწავლო თემას გაწერილი აქვს შესაბამისი სამიზნე ცნებები და საკითხები. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში გაწერილია სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომელთა შესწავლა-დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, კათედრაზე მასწავლებლები განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს. მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურ ჩართვას რეფლექსიის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ესთეტიკის კათედრის საგნების კურიკულუმებში განსაზღვრულია დრძელვადიანი სამიზნე ცნებები, რის მიხედვითად სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ განხორციელებული კომპლექსური დავაკებებით სამიზნე ცნებებსა და მოახდინონ მკვიდრი წარმოდგენების გააზრება. წარმოდგენილი საკითხები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს სასწავლო პროცესს. პროცესს არ ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განმავითარებელი რუბრიკების მეშვეობით. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული, ზოგან მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხოციელებისათვის; **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1.საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული პროდუქტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

სახელმწიფო ენა

2. სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურზე დაცულია ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი- მოსწავლეთა წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგება, რაც დასტურდება იმით, რომ სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლეთათავის ნაცნობ კონტექსტებთან, იმასთან, რაც ხშირად მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგალითად, პიროვნული არჩევანი, რწმენის თავისუფლება, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება. გარდა ამისა, როგორც კათედრის წევრები აღნიშნავენ, ცდილობენ, ყოველი ახალი თემა და საკითხი დაიწყონ წინარე ცოდნა-გამოცდილების

გააქტიურებით. მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

2.ინტერვიუზე მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას.

ინდიკატორი შეესაბამება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2.ინტერვიუს პროცესში მასწავლებლების მიერ აღინიშნა,რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ განხილული ქეისით (შესრულებული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის აღწერა), მოგვეცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლა

ქმნის მოსწავლეებისთვის პირობებს, რათა მათ შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

2.წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს, დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს შესასწავლი ტექსტები დააკავშირონ საკუთარ გამოცდილებასთან, ხელს შეუწყობს განცდილის, ნააზრევის გაზიარებას, გააცნობიერებს სხვების პოზიციას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, ემპათიას, შეძლებს გუნდურ მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

2. კურიკულუმის დანართებში გასაუბრების შემდეგდამოიკვეთა ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროქტები, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას; როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს კათედრებზე ზიარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა ისე, რომ ის ემსახურებოდეს არამხოლოდ

კონკრეტული საგნის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას. იგეგმება ისეთი აქტივობები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებზე ორიენტირებას გულისხმობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად.**ინდიკატორი შესაბამისია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

2. სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.3.

სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

3.სკოლა საშუალო საფეხურზე დიდ ყურადღებას უთმობს განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარის შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.სკოლა მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას სამი კომპონენტით (დავალება, საკლასო ჩართულობა და შემაჯამებელი),გარდა ამისა საბუნებისმეტყველო საგნების კათედრაზე შეფასებას აწარმოებენ ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემური უნარების შეფასებას, არამედ ისეთი უნარჩვევებისაც, როგორიცაა შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი : თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, საგაკვეტილო პროცესში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი კომენტარები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლამ ინტერვიუს პროცესში ისაუბრა სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის შეფასების ძირითად ორიენტირზე, წარმოადგინა კონკრეტულ

თემასა და სამიზნე ცნებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და გამოხატა მზაობა შეფასების სისტემის შემდგომი დახვეწისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენები

3. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც შეფასების ზოგადი რუბრიკები, ასევე განმავითარებლი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე, პედაგოგებს აქვთ სოლო ტაქსონომის გამოყენების გამოცდილება, რაც მოსწავლის განმავითარებელ შეფასებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

3. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას , ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, კათედრა ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ორიენტირებას მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში და შემდგომ გეგმავენ განმსაზღვერელი და განმავითარებელი შეფასებიბის ყველა თემის ფარგლებში შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.**ინდიკატორი შესაბამისია**

2.2.2.4.

სახელმწიფო ენა

4. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების მიხედვით, კათედრას შეუძლია შექმნას ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი სისტემა;**ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქტივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის

მხრივ იწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ. **ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე შეფასების რუბრიკა სხვადასხვა აქტივობისთვის. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს,რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანია. წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ უიწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ.

ინდიკატორი შეესაბამება

უცხოური ენები

4. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ დამანახა, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე , სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

ესთეტიკური აღზრდა

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მისაღწევს შედეგებს. შეფასება უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. სასკოლო შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს უკავშირდება სწავლის

პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მმიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

4.მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

2.2.2.5.

სახელმწიფო ენა

5. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

მათემატიკა

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, მე-4 და მე-6 კლასები მონაწილეობენ გამოცდების ეროვნული გენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში „შეფასება განვითარებისთვის“. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. დაწყებითი საფეხურის ბუნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანები, სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი , ამთლიანებს პროცესს. ვფიქრობ, წარმოდგენილი დანართების გაანალიზება იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

უცხოური ენები

5. სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი არ წარმოუდგენია. მასწავლებელთა მზაობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სკოლა მომავალში მოახერხებს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. იგივე დაადასტურეს უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმაც. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

ესთეტიკური აღზრდა

5.ვერიფიკაციის მექანიზმი ამ ეტაპზე სკოლას გაწერილი არა აქვს, არსებობს ცალკეული შეფასების რუბრიკები, სსგ-ში გაწერილი სასკოლო შეფასების სისტემა, მასწავლებლები ახორციელებენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს. სამუშაო შეხვედრებსა თუ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დროს განიხილება არსებული შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები, სემესტრული და წლიური გამოცდები. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. **ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

5.სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.

ვინაიდან სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, ინდიკატორი არის შესაბამისი

2.2.2.6.

სახელმწიფო ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისია**

მათემატიკა

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

6.თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

უცხოური ენა

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი შეესაბამება

ესთეტიკური აღზრდა

6. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა,რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი შეესაბამება**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

6. დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.**ინდიკატორი შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №145 საშუალო საფეხურის კურიკულუმები
2. დანართი№ 165 ავტორიზაციის განაცხადი
3. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობით გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ინდიკატორი შეესაბამება

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები თანხვედრაშია საგნობრივ სტანდართან, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების შეჯამება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგემაზე მუშაობის

პროცესი, ისგ გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ბრძანება, მონიტორინგის დასკვნა, ჩანს როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შედგენა. **ინდიკატორი შეესაბამება**

3.როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე კათედრებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები (სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და ამის შესაბამისად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ქმნიან კურიკულუმს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების მხარდაჭერას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. კათედრებს აქვთ მზაობა და სამომავლოდ გეგმავენ საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებულ მუშაობას და ერთობრივი ღონისძიებების დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, ასევე თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლისა და კათედრის დონეზე უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია". სკოლის 2022-23 ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარებისა, სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა და მათი განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი №165 თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№ 126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

4. დანართი №129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

5. დანართი№145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

6. დანართი№ 75 ისგ ჯგუფის ბრძანება

7. დანართი№ 78 ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

8. დანართი№74 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მასალები

9. დანართი №35 შეფასების რუბრიკები

10. დანართი№144 შინაგანაწესი

11. დანართი№ 50 "ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია"

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სსიპ - გორის მუნიციპალიტეეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი რომელშიც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვის მექანიზმები. დოკუმენტში ასახულია როგორ , რა საშუალებებით, ვის მიერ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ასახვა ახალ სასწავლო გეგმაში . ასევე წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა , რომელშიც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს მონიტორინგის პროცესსაც. ინტერვიუზე აღინიშნა,რომ სკოლაში არსებული პრაქტიკით მონიტორინგი მოიცავს, როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული რუბრიკით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A. ასევე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შემუშავებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები,

ამოცანები და ქვეამოცანები, **ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ინდიკატორი შესაბამისია**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა: სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. აღინიშნა, რომ კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ წლის მანძილზე მიღწეული შედეგების შეფასება და გასაუმჯობესებელ დეტალებზე მსჯელობა დადებითად აისახება ახალი კურიკულუმის შექმნაზე.

ინდიკატორი შეესაბამება

3.მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად ხდება ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რაც წინაპირობას ქმნის სრულყოფილი და ობიექტური შეფასებისთვის. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№ 165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2. დანართი №20 სასკოლო სასწავლო გეგმა

3. დანართი№ 129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

4. დანართი№101 მასწავლებელთა ანგარიშები

5. დანართი №7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

6. დანართი№3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია და გასაუბრების დროსაც ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მრავალფეროვანი წყაროები და ინსტრუმენტები და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები. შეფასება კეთდება სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით. ტარდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, მისი ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინება, თანმდევი ღონისძიებების განხორციელება სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება

2.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით: შეფასება მოიცავს, როგორც საგნობრივ კომპეტენციას, ასევე ეთიკური ნორმების დაცვას, საგაკვეთილო პროცესში პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და ისტ-ის ინტეგრირებას საგაკვეთილო

პროცესში სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი კონტექსტი, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თანამშრომლობითი გარემო და სხვა. უცხოური ენის კათედრა მომავლ სასწავლო წელს გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ისინი დააკვირდებიან ისეთი კონტექსტებიდან დანახულ სიტუაციას, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემა, საკითხი, ინტერესები და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება

3.სკოლა მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავს მასწავლებლის დაკვირვებასა და ჩანაწერებს რომელსაც ის მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულების პროცესში აკეთებს, მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად. სკოლაში იგრძნობა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მრავალმხრივი მეთოდები გამოიყენონ. სკოლას ჯერ აქვს აპრობირებული რომელიმე კონკრეტული მეთოდი ან ხერხი, მაგრამ სამომავლოდ სიღრმისეულად აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას კვლევის მეთოდები, დაგეგმვის სტრატეგიები, დასვას კითხვები, შეიმუშავოს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაეხმარებათ სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუჯობესებაში.

ინდიკატორი შეესაბამება

4.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი). სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი№ 144 შეფასების რუბრიკები

2. დანართი№165 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

3. დანართი№20 სასკოლო სასწავლო გეგმა

4. დანართი№126 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

5. დანართი№129 საბაზო საფეხურის კურიკულუმები

6. დანართი№145 საშუალო საფეხურის კურიკულუმი

7. დანართი№101 მასწავლებელთა ანგარიშები

8. დანართი№ 7 სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი

9. დანართი№ 3 სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, SWOT ანალიზის საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა აცხადებს, რომ კურიკულუმის განვითარებისთვის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

ინდიკატორი შეესაბამება

2. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სკოლა აღნიშნავს, რომ წინა წლის კურიკულუმის რევიზიის განხორციელების შემდგომ მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ხელი შეეწყობა საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირებას, კათედრის /გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას და ამ პროცესებში ჩაერთვება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. თუმცა კონკრეტულად ვერ ასახელებენ, კონკრეტულად რა ცვლილებები განახორციელეს ახალ კურიკულუმში.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

N165 დანართი -ავტორიზაციის განაცხადი(სკოლის თვითშეფასების კითხვარი)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

153 დანართი წარმოდგენილია 5 დაზიპული ფაილის სახით (4 სტანდარტად და ერთი გამთლიანებული))

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ლია ჯალაღონია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /თამთა კვარაცხელია/

/ლელა მანგოშვილი/

/ეკატერინე გურგენიშვილი/

/შორენა გაგნიძე/

/ილონა აკობია/

/ირმა შველიძე/

/თამარ ჩალახეშაშვილი/

/თამარ დეკანოსიძე/

/ვერა გუდაძე/

/ედუარდ ნაკაიძე/

25.10.2023

თარიღი